

ქ. ბათუმის 2018 წლის ბიუჯეტი

შესრულების ანგარიში





ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №41 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15/02/2018 №8; 30/03/2018 №32; 29/05/2018 №41; 28/06/2018 №48; 09/08/2018 №61; 14/12/2017 №72 დადგენილებებით.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 167,422.1 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 167,027.5 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 173,380.2 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 164,527.1 ათასი ლარი.

2018 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება. ქალაქში ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პარალელურად საბიუჯეტო დაფინანსების ძირითად პრიორიტეტს ასევე სკოლამდელი განათლების, კულტურისა და სპორტის სფერო და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

✓ **ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება:**

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 36 440,7 ათასი ლარი;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 26 033,2 ათასი ლარი;

- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 13 060,2 ათასი ლარი;

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი - 4 426,1 ათასი ლარი;

- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 970,8 ათასი ლარი;

- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 1 186,9 ათასი ლარი;

✓ **განათლება:**

- სკოლამდელი განათლება - 14 707,3 ათასი ლარი;

- პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 167,1 ათასი ლარი;

- ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 8,9 ათასი ლარი;

✓ **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი:**

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 5 726,5 ათასი ლარი;

- მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა - 4 006,6 ათასი ლარი;

- კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები - 2 407,9 ათასი ლარი;

- კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა - 2 146,6 ათასი ლარი;



- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - 133,5 ათასი ლარი;
- ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა - 120,5 ათასი ლარი.
- ✓ **ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა:**
- ჯანმრთელობის დაცვა - 3 649,8 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 9 363,5 ათასი ლარი;
- სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 704,2 ათასი ლარი.
- **ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება:**
- ქალაქის დაგეგმარება - 327,2 ათასი ლარი;
- ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა - 41.8 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სერვისების განვითარება - 2,058.0 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება - 10,499.7 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო, მერია) ხარჯების დაფინანსება (6,998.5 ათასი ლარი), სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (19 225,2 ათასი ლარი), წვევამდელთა ტრანსპორტირება (14.4 ათასი ლარი), თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება (42.8 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება (58.8 ათასი ლარი).



ქ. ბათუმის 2018 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქ. ბათუმის ბიუჯეტის ბალანსი

(ათასი ლარი)

დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის შესრულება	შესრულება-ის %
შემოსავლები	161,522.1	162,247.9	100%
გადასახადები	29,900.0	32,055.0	107%
გრანტები	83,736.8	81,242.1	97%
სხვა შემოსავლები	47,885.3	48,950.8	102%
ხარჯები	87,249.4	83,358.8	96%
შრომის ანაზღაურება	19,679.2	19,374.6	98%
საქონელი და მომსახურება	34,818.0	32,767.8	94%
პროცენტი	4,379.1	3,898.0	89%
სუბსიდიები	14,926.1	14,752.4	99%
გრანტები	25.5	9.9	39%
სოციალური უზრუნველყოფა	8,601.1	8,055.1	94%
სხვა ხარჯები	4,820.4	4,501.1	93%
საოპერაციო სალდო	74,272.7	78,889.1	106%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	59,260.0	55,723.0	94%
ზრდა	65,160.0	60,502.7	93%
კლება	5,900.0	4,779.7	81%
მთლიანი სალდო	15,012.7	23,166.1	154%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-481.8	7,838.9	-1627%
ზრდა	5,476.3	7,838.9	143%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	2,500.5	-
აქციები და სხვა კაპიტალი	5,476.3	5,338.4	97%
კლება	5,958.1	0.0	0%
ვალუტა და დეპოზიტები	5,958.1	0.0	0%
ვალდებულებების ცვლილება	-15,494.5	-15,327.2	99%
კლება	15,494.5	15,327.2	99%
საშინაო	15,494.5	15,327.2	99%
ბალანსი	0.0	0.0	



(ათასი ლარი)

დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის შესრულება	შესრულების %
შემოსულობები	167,422.1	167,027.5	100%
შემოსავლები	161,522.1	162,247.9	100%
არაფინანსური აქტივების კლება	5,900.0	4,779.7	81%
გადასახდელები	173,380.2	164,527.1	95%
ხარჯები	87,249.4	83,358.8	96%
არაფინანსური აქტივების ზრდა	65,160.0	60,502.7	93%
ფინანსური აქტივების ზრდა	5,476.3	5,338.4	97%
ვალდებულებების კლება	15,494.5	15,327.2	99%
ნაშთის ცვლილება	-5,958.1	2,500.5	

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის
ბიუჯეტის შემოსულობები




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 167,027.5 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2018 წლის გეგმიური მაჩვენებლის 99.8%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 32,055.0 ათასი ლარი (შემოსულობების 19.2%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 81,242.1 ათასი ლარი (შემოსულობების 48.6%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე – 48,950.8 ათასი ლარი (შემოსულობების 29.3%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 4,779.7 ათასი ლარი (შემოსულობების 2.9%).

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები

(ათასი ლარი)

№	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	შემოსავლები	162,247.9	97.1%
1.1	გადასახადები	32,055.0	19.2%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	81,242.1	48.6%
1.3	სხვა შემოსავლები	48,950.8	29.3%
2	არაფინანსური აქტივების კლება	4,779.7	2.9%
ჯამი		167,027.5	100%

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები




შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

(ათასი ლარი)



№	შემოსულობების დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის შესრულება	გადაზრდა	შესრულება %
1	შემოსავლები	161,522.1	162,247.9	725.8	100.4%
1.1	გადასახადები	29,900.0	32,055.0	2,155.0	107.2%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	83,736.8	81,242.1	-2,494.7	97.0%
1.3	სხვა შემოსავლები	47,885.3	48,950.8	1,065.5	102.2%
2	არაფინანსური აქტივების კლება	5,900.0	4,779.7	-1,120.3	81.0%
ჯამი		167,422.1	167,027.5	-394.5	99.8%

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება გეგმასთან მიმართებაში




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა


(ათასი ლარი)




№	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი
1	შემოსავლები	117,242.4	115,022.2	119,877.0	155,497.8	162,247.9
1.1	გადასახადები	13,937.5	18,819.4	35,081.9	30,914.9	32,055.0
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	76,387.1	63,170.7	51,564.0	82,154.5	81,242.1
1.3	სხვა შემოსავლები	26,917.8	33,032.1	33,231.1	42,428.4	48,950.8
2	არაფინანსური აქტივების კლება	362.6	1,626.2	5,064.7	13,139.7	4,779.7
3	ფინანსური აქტივების კლება				0.1	
	სულ ჯამი	117,605.0	116,648.5	124,941.7	168,637.5	167,027.5

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის
შემოსულობების დინამიკა





ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა





შემოსავლები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 161,522.1 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 162,247.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.4%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

გადასახადები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 32,055.0 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის – 29,900.0 ათასი ლარის 107.2%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 19.2%-ს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა

(ათასი ლარი)

№	შემოსავლის სახე	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	შესრულება			
								2018 წ. გეგმასთან		2017 წ. ფაქტთან	
								გადახრა (ათ. ლარი)	%	გადახრა (ათ. ლარი)	%
1	საშემოსავლო გადასახადი			10,742.6	5,599.5	5,400.0	5,005.9	-394.1	92.7%	-593.6	89.4%
2	ქონების გადასახადი	13,936.5	18,820.2	24,339.2	25,315.4	24,500.0	27,049.1	2,549.1	110.4%	1,733.7	106.8%
2.1	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი	861.8	1,117.8	1,199.1	1,528.1	1,150.0	1,754.2	604.2	152.5%	226.1	114.8%
2.2	საწარმოთა ქონების გადასახადი	11,376.5	16,322.4	21,448.6	22,064.9	21,650.0	23,459.0	1,809.0	108.4%	1,394.0	106.3%
2.3	მიწის გადასახადი	1,698.2	1,380.1	1,691.5	1,722.4	1,700.0	1,835.9	135.9	108.0%	113.6	106.6%
3	სხვა გადასახადები	1.0	-0.8						-		-
სულ		13,937.5	18,819.4	35,081.9	30,914.9	29,900.0	32,055.0	2,155.0	107.2%	1,140.1	103.7%

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

საშემოსავლო გადასახადი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად მუნიციპალურ ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადიდან შემოდის:

- საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან;
- არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან);



- საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან;
- საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირისათვის ქონების ჩუქებიდან;
- საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან;

საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან.

საშემოსავლო გადასახადის 2018 წლის გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 5,400.0 ათას ლარს, საკასო - 5,005.9 ათას ლარს, შესრულდა 92.7%-ით. კერძოდ, გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან - 1,199.6 ათასი ლარი; ფიქსირებული გადასახადიდან დაბეგვრის ობიექტზე - 23.2 ათასი ლარი, გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან - 3,526.8 ათასი ლარი, არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (გარდა ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისა) - 168.1 ათასი ლარი და გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან - 88.3 ათასი ლარი.

ქონების გადასახადი – საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2018 წლის გეგმიური მაჩვენებელი 24,500.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 27,049.1 ათასი ლარი შეადგინა რაც გეგმის 110.4%-ია.

ქონების გადასახადის ცალკეული სახეობის მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

<i>(ათასი ლარი)</i>					
№	დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება %
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	24,500.0	27,049.1	2,549.1	110.4%
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	21,650.0	23,459.0	1,809.0	108.4%
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	1,150.0	1,754.2	604.2	152.5%
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	1,700.0	1,835.9	135.9	108.0%

საწარმოთა ქონების გადასახადის საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 21,650.0 ათასი ლარით. ფაქტიურად მობილიზებული იქნა 23,459.0 ათასი ლარი. რაც გეგმის 108.4%-ია.



ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის სახით დაგეგმილი იყო 1,150.0 ათასი ლარის მობილიზება, ფაქტიურად მიღებული იქნა 1,754.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 152.5%-ია.


მიწაზე ქონების გადასახადი მობილიზებული იქნა 1,835.9 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (1,700.0 ათასი ლარი) 108.0%-ია.

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	13,936.5	18,820.2	24,339.2	25,315.4	27,049.1
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	11,376.5	16,322.4	21,448.6	22,064.9	23,459.0
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	861.8	1,117.8	1,199.1	1,528.1	1,754.2
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	1,698.2	1,380.1	1,691.5	1,722.4	1,835.9

ქონების გადასახადის 2018 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2017 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1,733.7 ათასი ლარით (7.0 %-ით) გაზრდილია.


ქონების გადასახადის სტრუქტურა




საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქონების გადასახადი ბიუჯეტში არათანაბარი სიდიდით აისახებოდა, რომლის ფაქტიური მობილიზაციაც ცალკეული თვეების მიხედვით შემდეგია:



ქონების გადასახადის შესრულება ცალკეული თვეების მიხედვით




ქონების გადასახადის შესრულება ცალკეული თვეების მიხედვით (ნაზარდი ჯამით)





ქონების გადასახადის შესრულება წლების მიხედვით (2012-2018 წლები)



ფინანსური დახმარება და გრანტები

2018 წლის განმავლობაში ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 81,242.1 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 83,736.8 ათას ლარს, სხვაობა შეადგენს - 2,494.7 ათას ლარს.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან გათანაბრებითი ტრანსფერი შეადგენს 40,286.4 ათას ლარს, სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2018 წელს მიღებული იქნა 3,925.3 ათასი ლარი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 37,030.4 ათას ლარს შეადგენს.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 48.6%-ია.



(ათასი ლარი)

№	დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის შესრულება	გადახრა
1	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	83,736.8	81,242.1	-2,494.7
1.1	გათანაბრებითი ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან	40,286.4	40,286.4	0.0
1.2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	39,525.1	37,030.4	-2,494.7
	კაპიტალური ტრანსფერი	38,000.0	35,532.3	-2,467.7
	სპეციალური ტრანსფერი	380.4	380.4	0.0
	ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	1,144.7	1,117.7	-27.0
1.3	სხვა სპეციალური ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან	3,925.3	3,925.3	0.0
	ჯამი	83,736.8	81,242.1	-2,494.7

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები

2018 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 37,030.4 ათასი ლარი, მათ შორის:

- კაპიტალური ტრანსფერი - კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად 35,532.3 ათასი ლარი, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით;

- სპეციალური ტრანსფერი - ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 1,117.7 ათასი ლარი, ქალაქ ბათუმში, ლ. ასათიანის ქუჩა #27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის (ყინულის სასახლის მიმდებარედ მშენებარე სპორტული კომპლექსის მიმდებარედ) მიზნით;

- სპეციალური ტრანსფერი - 380.4 ათასი ლარი, კერძოდ:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 27 მარტის №54 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმში, სტიქიის შედეგად დაზარალებული კვიპაროსის ქ. №36-ში მცხოვრები მანანა ბერიძის და სათნოების ქ. №7-ში მცხოვრები მალხაზ ბერიძის ოჯახებისათვის მატერიალური დახმარება - ჯამში 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2018 წლის 03 მაისის №76 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის



სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმში, განთიადის დასახლებაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული, მამუდ ბერიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით - 15,000 ლარი.

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2018 წლის 10 ივლისის №144 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ქალაქ ბათუმში, ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (რუსლან ფუტკარაძე და ინეზა ფირცხალაიშვილი) - 10000 ლარი მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2018 წლის 31 ოქტომბრის №211 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ფონდიდან, ქალაქ ბათუმში, ხანძრის შედეგად დაზარალებული 14 ოჯახისათვის - 134,392 ლარი მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით;

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2018 წლის 12 ნოემბრის №217 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ფონდიდან, თამარ მეფის გამზირის IV შესახვევის №16-სა და №17-ში მდებარე სახლებთან განვითარებული მეწყერული მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით - 134,392 ლარი;

სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით მიღებული სახსრები

2018 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით 3,925.3 ათასი ლარი მიღებული იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ (III ფაზა და IV ფაზა) პროექტის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW), საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2018 წლის საპროგნოზო მოცულობა 47,885.3 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 48,950.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 102.2%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 29.3%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 3,840.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3,619.2 ათასი ლარი) 106.1%-ია. მათ შორის:



- პროცენტებიდან მობილიზებულია 1,273.4 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

- დივიდენდებიდან მობილიზებულია 900.0 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდს.

- რენტის სახით მიღებულია 1,667.3 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 355.4 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 1,311.9 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 38,689.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (37,786.1 ათასი ლარი) 102.4%-ია. აქედან:

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით – 38,684.1 ათასი. მათ შორის:

- მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) – 449.3 ათასი ლარი.

- საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი – 2.8 ათასი ლარი;

- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი – 2.0 ათასი ლარი;

- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 36,174.5 ათასი ლარი, მათ შორის:

სათამაშო აპარატებიდან – 20,082.6 ათასი ლარი;

სამორინეს მაგიდიდან – 13,567.0 ათასი ლარი;

სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან – 2,000.0 ათასი ლარი;


წამახალისებელი გათამაშებიდან – 294.7 ათასი ლარი;

კლუბის მაგიდიდან - 217.9 ათასი ლარი;

სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 12.3 ათასი ლარი;



სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან ქ. ბათუმის ბიუჯეტში 2018 წელს მიღებული თანხები



- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მობილიზებული იქნა 1,816.6 ათასი ლარის ოდენობით.

- ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის – 238.9 ათასი ლარი;

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან – 5.3 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავალს.

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 4,486.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4,700,0 ათასი ლარის) 95.5%-ია. მათ შორის:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში - 99.8 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში - 191.4 ათასი ლარი;

სავაჭრო მოძრაობის წესების დარღვევისათვის - 3,023.4 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) უბილეთო მგზავრობის გამო - 29.8 ათასი ლარი;

სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე სავაჭრო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში - 521.7 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადამყვანის პირობების დარღვევის გამო - 2.4 ათასი ლარი;



შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 64.2 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 93.0 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 31.6 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, განათლებისა და აღზრდის სფეროში - 0.5 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 351.2 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობისა და ფინანსების დარგში - 55.7 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო - 11.9 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების გამო - 8.4 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან - 1.2 ათასი ლარი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მიღებულია 1,934.5 ათასი ლარი. შემოსავლის აღნიშნულ სახეში გეგმა 1,780.0 ათას ლარს შეადგენდა. ფაქტიურად მობილიზებული იქნა გეგმის 108.7%. შემოსავლის აღნიშნული სახე აერთიანებს:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებულ შემოსავალს - 460.8 ათასი ლარი;

შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 345.7 ათასი ლარი;

წინა წელს გამოუყენებული და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 7.5 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა მართვის უფლების გადაცემიდან - 761.1 ათასი ლარი;


ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვიდან მიღებულ საფასურს - 142.6 ათასი ლარი;

მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებულ შემოსავალს - 4.2 ათასი ლარი;

სხვა დანარჩენ არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს - 212.7 ათასი ლარი;



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა





(ათასი ლარი)

დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის შესრულება	გადახრა
სხვა შემოსავლები	47,885.3	48,950.8	1,065.5
შემოსავლები საკუთრებიდან	3,619.2	3,840.7	221.5
პროცენტები	1,270.0	1,273.4	3.4
დივიდენდები	900.0	900.0	0.0
რენტა	1,449.2	1,667.3	218.1
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	330.0	355.4	25.4
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,119.2	1,311.9	192.7
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	37,786.1	38,689.4	903.3
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	37,786.1	38,684.1	898.0
სანებართვო მოსაკრებელი	400.0	449.3	49.3
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	2.8	2.8
სასაქონლო საკრედიტო სასაბუნების გადასახდელების მოსაკრებელი	0.0	2.0	2.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	34,186.1	36,174.5	1,988.4
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2,000.0	1,816.6	-183.4
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	1,200.0	238.9	-961.1
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	5.3	5.3
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	0.0	5.3	5.3
ჯარიმები, სანქციები და საურავები	4,700.0	4,486.2	-213.8
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1,780.0	1,934.5	154.5

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა


(ათასი ლარი)



დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი
სხვა შემოსავლები	26,917.8	33,032.1	33,231.1	42,428.4	48,950.8
შემოსავლები საკუთრებიდან	3,243.4	3,347.7	1,431.1	1,993.5	3,840.7
პროცენტები	2,639.4	2,430.0	699.3	917.5	1,273.4
დივიდენდები					900.0
რენტა	604.1	917.7	731.8	1,076.1	1,667.3
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	102.2	284.9	154.6	157.3	355.4
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	501.9	632.8	577.2	918.7	1,311.9
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	16,340.6	22,932.9	25,445.3	34,028.1	38,689.4
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდლები	16,334.3	22,927.1	25,444.4	34,011.4	38,684.1
სანებართვო მოსაკრებელი	468.9	525.1	435.8	450.9	449.3
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	1.9	3.5	3.0	3.0	2.8
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	5.0	3.4	2.4	4.4	2.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	13,644.9	20,167.5	21,835.4	30,630.2	36,174.5
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	943.5	687.5	1,458.6	1,074.0	238.9
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1,270.1	1,540.0	1,709.3	1,848.7	1,816.6
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი				0.2	
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	6.3	5.8	0.9	16.7	5.3
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	6.3	5.8	0.9	16.7	5.3
ჯარიმები, სანქციები და საურავები	4,871.8	4,901.6	4,187.9	4,947.8	4,486.2
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	2,462.0	1,849.9	2,166.8	1,458.9	1,934.5



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა



სხვა შემოსავლების დინამიკა უკანასკნელი წლების განმავლობაში მზარდია და 2018 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 6,522.4 ათასი ლარით აღემატება.

არაფინანსური აქტივების კლება

2018 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 4,779.7 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (5,900.0 ათასი ლარის) 81.0% -ია. შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 2.9%-ს. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, საიდანაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული იქნა 4,756.1 ათასი ლარი, ასევე ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს – 23.4 ათასი ლარი, ხოლო 18.7 ათასი ლარი მიწაზე უფლების აღიარებიდან მიღებული შემოსავალია.



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 103.9 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების (კლების) გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა 5,958.1 ათასი ლარით. აღნიშნული მოიცავს ფინანსურ აქტივებს, მიმართული ხარჯების დასაფარავად წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან. ნაშთის ცვლილების ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 2,500.5 ათასი ლარი, შესაბამისად 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 8,541.6 ათას ლარს შეადგენდა.

დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის შესრულება
ნაშთი 01.01.2018		6,041.1
ნაშთის ცვლილება	-5,958.1	2,500.5
ზრდა	0.0	2,500.5
ვალუტა და დეპოზიტები		2,500.5
კლება	5,958.1	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	5,958.1	
ნაშთი 01.01.2019		8,541.6




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ კრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხილეთ დიაგრამა):

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ კრილში



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია


(ათასი ლარი)



№	გადასახდელის დასახელება	გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	14,142.0	13,056.6	92.3%	9.1%
1.1	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	7,548.5	7,200.9	95.4%	5.0%
1.2	საერთო დანიშნულების მომსახურება	2,172.2	1,957.2	90.1%	1.4%
1.3	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	4,379.1	3,898.0	89.0%	2.7%
1.4	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	42.1	0.5	1.1%	0.0%
2	თავდაცვა	17.4	14.4	82.5%	0.01%
3	ეკონომიკური საქმიანობა	45,045.0	41,925.8	93.1%	29.1%
3.1	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	10.0	2.2	22.0%	0.0%
3.2	ტრანსპორტი	43,917.7	40,911.1	93.2%	28.4%
3.3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1,117.3	1,012.5	90.6%	0.7%
4	გარემოს დაცვა	12,141.9	11,199.6	92.2%	7.8%
4.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	8,199.7	7,763.6	94.7%	5.4%
4.2	ჩამდინარე წყლების მართვა	3,942.2	3,436.0	87.2%	2.4%
5	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	32,161.2	31,247.8	97.2%	21.7%
5.1	ბინათმშენებლობა	1,260.6	1,153.1	91.5%	0.8%
5.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	4,054.2	3,731.6	92.0%	2.6%
5.3	წყალმომარაგება	19,194.5	19,037.8	99.2%	13.2%
5.4	გარე განათება	4,468.4	4,306.3	96.4%	3.0%
5.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	3,183.5	3,018.9	94.8%	2.1%
6	ჯანმრთელობის დაცვა	3,915.3	3,685.1	94.1%	2.6%
7	დასვენება, კულტურა და რელიგია	19,707.9	18,487.6	93.8%	12.9%
7.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	13,548.3	12,612.6	93.1%	8.8%
7.2	მომსახურება კულტურის სფეროში	6,011.3	5,754.5	95.7%	4.0%
7.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	148.3	120.5	81.3%	0.1%
8	განათლება	15,468.8	14,883.3	96.2%	10.3%
9	სოციალური დაცვა	9,809.9	9,361.3	95.4%	6.5%
გადასახდელის ჯამი		152,409.4	143,861.5	94.4%	100.0%



ქ. ბათუმის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში (გეგმა-ფაქტი)



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2018 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 14,142.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 13,056.6 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 92.3%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), საერთო დანიშნულების მომსახურების, ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების, ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება და წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 9.1%-ს.

თავდაცვის სფეროსათვის გათვალისწინებული იყო 17.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 14.4 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 82.5%-ით, აღნიშნული სფერო მოიცავს რეზერვისტების და წვევამდებების ტრასპორტირების ხარჯებს.

ეკონომიკური საქმიანობისათვის დაგეგმილი იყო 45,045.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 41,925.8 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 93.1%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 29.1%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლოატაციის, მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარების, ეკონომიკური ფორუმების ორგანიზების,



ბათუმის ისტორიული განაშენიანების საზღვრებში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარების მხარდაჭერის, მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობის და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამების დაფინანსებას.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 12,141.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 11,199.6 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 92.2%. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავების და სანიაღვრე-საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციო პროგრამებზე გაწეული ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 7.8%-ს.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და ტექნიკური ზედამხედველობის, ქალაქის დაგეგმარების, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის, ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს, სანიტარული დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების და ქალაქის გაფორმების ქვეპროგრამების ხარჯები, შეადგენდა 32,161.2 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 31,247.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 97.2%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 21.7%-ს.

ჯანმრთელობის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 3,915.3 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 3,685.1 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 94.1%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 2.6%-ს.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 19,707.9 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 18,487.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 93.8%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 12.9%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობის, ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის, სპორტული ღონისძიებების, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, სპორტული ცენტრის განვითარების პროგრამები, ასევე კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯები და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის მხარდაჭერის ქვეპროგრამები.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 15,468.8 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 14,883.3 ათას ლარს, ანუ გეგმის 96.2%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის საფეხურის დაფინანსება, საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხარჯები, ასევე პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროგრამები. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 10.3%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 9,809.9 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 9,361.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.4%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 6.5%-ს.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ქრილში




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

(ათასი ლარი)


№	გადასახდელების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
I	ხარჯები	87,249.4	83,358.8	95.5%	50.7%
1	შრომის ანაზღაურება	19,679.2	19,374.6	98.5%	11.8%
2	საქონელი და მომსახურება	34,818.0	32,767.8	94.1%	19.9%
3	პროცენტი	4,379.1	3,898.0	89.0%	2.4%
4	სუბსიდიები	14,926.1	14,752.4	98.8%	9.0%
5	გრანტები	25.5	9.9	38.7%	0.0%
6	სოციალური უზრუნველყოფა	8,601.1	8,055.1	93.7%	4.9%
7	სხვა ხარჯები	4,820.4	4,501.1	93.4%	2.7%
II	არაფინანსური აქტივების ზრდა	65,160.0	60,502.7	92.9%	36.8%
III	ფინანსური აქტივების ზრდა	5,476.3	5,338.4	97.5%	3.2%
IV	ვალდებულებების კლება	15,494.5	15,327.2	98.9%	9.3%
გადასახდელების ჯამი		173,380.2	164,527.1	94.9%	100%



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯები
(საკასო შესრულება - 164,527.1 ათასი ლარი)



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯები
(საკასო შესრულება 164,527.1 ათასი ლარი)





ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 83,358.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 87,249.4 ლარის 95.5%-ია, მისი ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში არის 50.7%.

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 19,374.6 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 11.8%.

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 32,767.8 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 19,0%-ია.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 3,898.0 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 2.4%-ია.

სუბსიდიის სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 14,752.4 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 9.0%.

გრანტებზე მიიმართა 9.9 ათასი ლარი.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 8,055.1 ათასი ლარი, გადასახდელების მთლიანი მოცულობის – 4.9%.

სხვა ხარჯებზე მიიმართა 4,501.1 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 2.7%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 65,160.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 60,502.7 ათასი ლარის 92.9%-ია, მთლიანი გადასახდელების – 36.8%.

ფინანსური აქტივების ზრდაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 5,338.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 97.5%-ია, გადასახდელების მთლიანი მოცულობის – 3.2%.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 15,327.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 15,494.5 ათასი ლარის 98.9%-ია. ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში – 9.3%.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ კრილში

პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს შემდეგი სახე აქვს:

(ათასი ლარი)



კოდი	დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაუსტე- ბული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	შესრუ- ლების %
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	27,375.5	26,340.1	1,035.4	96.2%
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,678.2	1,618.6	59.6	96.4%
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	5,597.6	5,380.0	217.6	96.1%
01 03	სასესიო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	19,873.6	19,225.2	648.4	96.7%
01 04	სარეზერვო ფონდი	44.8		44.8	
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	42.1	0.5	41.7	1.1%
01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება	17.4	14.4	3.0	82.5%
01 07	თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება	63.0	42.8	20.2	67.9%
01 08	მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება	58.8	58.8		100.0%
03 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	87,795.5	82,117.9	5,677.6	93.5%
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	39,600.0	36,440.7	3,159.3	92.0%
03 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	26,830.4	26,033.2	797.2	97.0%
03 03	ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	14,221.1	13,060.2	1,160.9	91.8%
03 04	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	4,697.7	4,426.1	271.5	94.2%
03 05	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	1,062.3	970.8	91.5	91.4%
03 06	ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა	1,384.0	1,186.9	197.1	85.8%
04 00	განათლება	15,468.8	14,883.3	585.5	96.2%
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	15,292.4	14,707.3	585.2	96.2%
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	167.2	167.1	0.1	99.9%
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	9.2	8.9	0.3	96.9%
05 00	კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	15,075.0	14,541.5	533.5	96.5%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	5,886.5	5,726.5	160.0	97.3%
05 02	მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა	4,107.5	4,006.6	101.0	97.5%
05 03	კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები	2,520.5	2,407.9	112.6	95.5%
05 04	კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	2,272.2	2,146.6	125.6	94.5%
05 05	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება	140.0	133.5	6.5	95.3%
05 06	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	148.3	120.5	27.8	81.3%
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	14,410.8	13,717.6	693.2	95.2%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	3,880.0	3,649.8	230.2	94.1%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	9,819.9	9,363.5	456.4	95.4%
06 03	სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა	710.9	704.2	6.7	99.1%
07 00	ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება	13,254.6	12,926.7	327.8	97.5%
07 01	ქალაქის დაგეგმარება	408.7	327.2	81.4	80.1%
07 02	ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	55.0	41.8	13.2	75.9%
07 04	მუნიციპალური სერვისების განვითარება	2,278.4	2,058.0	220.4	90.3%
07 05	სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება	10,512.5	10,499.7	12.8	99.9%
გადასახდელების ჯამი		173,380.2	164,527.1	8,853.1	94.9%



წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება
(პროგრამული კოდი 01 00)

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (პროგრამული კოდი 01 01)
ხარჯებმა შეადგინა 1 618,6 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1 678,2 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 96,4%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 1 054,3 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 453,3 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 25,9 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 66,8 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 18,3 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (პროგრამული კოდი 01 02) ხარჯებმა შეადგინა 5 380,0 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 5 597,6 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 96,1%. აქედან შრომის ანაზღაურებას მოხმარდა 3 383,7 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 1 713,8 ათასი ლარი, გრანტებზე - 9,9 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 60,2 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 26,7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 185,7 ათასი ლარი.

სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი 01 03)

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება
(პროგრამული კოდი 01 03 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 196,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 196,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების დადგენილ ვადებში საპროცენტო ხარჯების დაფარვა 38,5 ათასი ლარის, სესხის ძირი თანხის დაფარვა - 158,1 ათასი ლარის ოდენობით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სასესხო ვალდებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 19 677,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 19 028,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**



ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების დადგენილ ვადებში საპროცენტო ხარჯების დაფარვა - 3,859.5 ათასი ლარის და სესხის ძირითადი თანხის დაფარვა - 15,169.1 ათასი ლარის ოდენობით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სასესხო ვადებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

წვევამდელთა ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 01 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 17,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 14,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 82,5%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

განხორციელდა ქ. ბათუმში რეგისტრირებულ წვევამდელთა აღრიცხვა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესი ხორციელდება შეუფერხებლად.

თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება (პროგრამული კოდი 01 07)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 63,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 42,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 67.9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

უზრუნველყოფილია საზოგადოების ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ და გაზრდილია მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში საინფორმაციო მასალების დამზადება მათ შორის: 8 საინფორმაციო-სარეკლამო ვიდეორგოლისა და 1500 ცალი საინფორმაციო ბუკლეტის დამზადებისთვის. ყველა საინფორმაციო რგოლი, შესაბამისი პერიოდულობით განთავსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის საეთერო ბადეში, ასევე, მერიისა და მერის ფეისბუქის გვერდების საშუალებით. მუნიციპალური პროგრამების შესახებ დამზადებული საინფორმაციო ბუკლეტები, მოსახლეობაში გავრცელების მიზნით, გადაეცა მერიის ადმინისტრაციულ ერთეულებს, ასევე, გავრცელდა მერიის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებაზე. გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულებით აყვანილ იქნა თანამშრომელი, რომელიც, მასზე დაკისრებულ სხვა მოვალეობებთან ერთად, რეგულარულად უზრუნველყოფს მერიის საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო ვიდეორგოლების დამზადებას, რამაც საინფორმაციო ვიდეორგოლების დამზადების მომსახურების შესყიდვის საჭიროება შეამცირა, რამაც განაპირობა ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი.

➤ **მიღწეული შედეგები:**



უზრუნველყოფილია საზოგადოების ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ და გაზრდილია მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.

მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება (პროგრამული კოდი 01 08)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 58,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 58,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100%.

➤ პროგრამის აღწერა:

განხორციელდა 2017 წელს გაწეული მომსახურების საფასურის დაფარვა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა.

პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 01 01-03 01 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 2 273,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 104,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91,8%;

➤ პროგრამის აღწერა:

ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - ქუჩებში შეკეთდა 27957,05 კვ.მ. ორმული და 4200 კვ.მ. რკ.ბეტონის ფილა.

არასასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - ქუჩები შეკეთდა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით - 112578 კვ.მ და ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის გარეშე - 13086 კვ.მ., ამოღებულ იქნა გრუნტი და შეივსო 85 კუბ.მ. ბუნებრივი ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით.

ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი - დამზადდა და დამონტაჟდა 30 ცალი ბანერი; განხორციელდა 80 ც. მიმართულების მიმანიშნებელი ბანერის აღდგენა/რესტავრაცია (სტიკერების შეცვლა, ლითონის დეტალების შეღებვა, დაზიანებული დეტალების შეცვლა).

"საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები - ქუჩებში შეკეთდა 13700,00 კვ.მ. და გამაგრდა 25640 კვ.მ.



დადგენილი გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა სამეურნეო, აგრო-ტექნიკური, ზამთრის შედეგად დაზიანებული მცენარეების მოწესრიგების, გასხლა-გაფორმების, მცენარეთა ნარჩენების გამოტანა-დასუფთავების და სხვა სამუშაოები. ბაღში გრძელდება მერქნიან მცენარეთა ინვენტარიზაციის სავსე სამუშაოები. ფიტოგეოგრაფიულ განყოფილებებსა და საკოლექციო ნაკვეთებში მოხდა კოლექციაში არსებული ხნოვანი, დაავადებული და დაზიანებული ეგზოტების აღრიცხვა და მათი ჩანაცვლების მიზნით სანერგებში და სათბურებში სარგავი მასალის გამოყვანა. სანერგე მეურნეობის სათბურებში დაითესა ექსპედიციების შედეგად შემოტანილი ველური ფლორის სახეობების თესლები, განხორციელდა მცენარეთა ეტიკეტირება, შეგროვდა ადგილობრივი ფლორის სხვადასხვა სახეობის თესლები, მიმდინარეობდა ჰერბარიუმის ფონდის განახლება. აღწერილი იქნა მავნე ორგანიზმებით დაზიანებული და დასენიანებული მცენარეები, რისთვისაც შეძენილი იქნა აგროქიმიკატები და მცენარეთა დაცვის საშუალებები. კვალსათბურები გაიწმინდა, გადაიბარა, გაფხვიერდა და შეტანილი იქნა მინერალური სასუქი, დაიწყო თესვები, ჩატარდა ნიადაგდაცვითი



სამუშაოები. ბაღის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა არსებული მანიშნებლების, საინფორმაციო დაფებისა და ბილბორდების მდგომარეობის მონიტორინგი. კოლექციის პოპულარიზაციის და ცნობადობის გაზრდის მიზნით ბოტანიკურ ბაღში გაიმართა კამელიების, ვარდების, ხილის და დირჩების გამოფენები. ბაღის ტერიტორიაზე ყოველდღიურად მიმდინარეობდა საპირფარეშოებისა და მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა-დასუფთავებითი სამუშაოები. სისტემატურად მიმდინარეობს დაზიანებული მცენარეების გაწმენდა-დამუშავება და პლანტაციიდან ნარჩენი ბიომასის გამოტანა. უზრუნველყოფილი იყო ბაღის ვიზიტორთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ელექტროავტობუსებით. მოხდა ბამბუკის პლანტაციაში დაზიანებული ეგზემპლიარების გამოჭრა და შიდა მოხმარებისათვის მარაგების შევსება.

პროგრამის ფარგლებში ბათუმის ბოტანიკური ბაღს სტუმრობდა იაპონიის მებაღეთა ასოციაციის ბორდის დირექტორი დოქტორი ტაკუკირო იამადა, რომელიც ბოტანიკური ბაღში არსებული იაპონური ბაღის განვითარებისათვის წარმოადგინა დასკვნას, რომლის მიხედვითაც შემდგომში მოხდება აღნიშნული ბაღის განვითარება. 2018 წლის 13 მაისიდან 17 მაისის ჩათვლით ბოტანიკური ბაღის ეგზოტურ მცენარეთა კოლექციების განყოფილების თანამშრომლები მივლინებით იმყოფებოდნენ ბელორუსის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მინსკის ცენტრალურ ბოტანიკურ ბაღში. ასევე, სტაჟირების მიზნით გოდერძის ალპური ბაღის მენეჯერი მივლინებული იქნა საფრანგეთში ლაუტარეტის ალპურ ბაღში. ასევე, ბაღის საქმიანობის ეფექტური ორგანიზებისათვის განხორციელდა მივლინებები ქვეყნის გარეთ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. ბათუმის ბოტანიკური ბაღი მონაწილეობდა ბათუმის ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-11 საერთაშორისო გამოფენა "EXPO BATUMI TRAVEL 2018"-ზე. ასევე 2-3 ივნისს, თბილისში, ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში გაიმართა „მწვანე გამოფენა“, სადაც ბოტანიკურმა ბაღმა წარმოადგინა ნეკერჩხლებისა და ვარდების კოლექცია.

უზრუნველყოფილი იყო ბაღის ვიზიტორთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ელექტროავტობუსებით. უზრუნველყოფილი იყო ბაღის სხვა სატრანსპორტო საშუალებების გამართული მუშაობა. მოხდა ბამბუკის პლანტაციაში დაზიანებული ეგზემპლიარების გამოჭრა და შიდა მოხმარებისათვის მარაგების შევსება. პროგრამის ფარგლებში ბათუმის ბოტანიკური ბაღს სტუმრობდა იაპონიის მებაღეთა ასოციაციის ბორდის დირექტორი დოქტორი ტაკუკირო იამადა, რომელიც ბოტანიკური ბაღში არსებული იაპონური ბაღის განვითარებისათვის წარმოადგინა დასკვნას, რომლის მიხედვითაც შემდგომში მოხდება აღნიშნული ბაღის განვითარება. 2018 წლის 13 მაისიდან 17 მაისის ჩათვლით ბოტანიკური ბაღის ეგზოტურ მცენარეთა კოლექციების განყოფილების თანამშრომლები მივლინებით იმყოფებოდნენ ბელორუსის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მინსკის ცენტრალურ ბოტანიკურ ბაღში. ასევე, სტაჟირების მიზნით გოდერძის ალპური ბაღის მენეჯერი მივლინებული იქნა საფრანგეთში ლაუტარეტის ალპურ ბაღში. ასევე, განხორციელდა სხვადასხვა მივლინებები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ. ბათუმის ბოტანიკური ბაღი მონაწილეობდა ბათუმის ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-11 საერთაშორისო გამოფენა "EXPO BATUMI TRAVEL 2018"-ზე. ასევე 2-3 ივნისს, თბილისში, ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში გაიმართა „მწვანე გამოფენა“, სადაც ბოტანიკურმა ბაღმა წარმოადგინა ნეკერჩხლებისა და ვარდების კოლექცია. ბაღის ტერიტორიაზე ჩატარდა



დემონტაჟის სამშენებლო სამუშაოები, დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები გატანილი იქნა ბაღიდან.

პროგრამის ფარგლებში ბაღი უზრუნველყოფილია მატერილურ-ტექნიკური საშუალებებით; სანტექნიკური, საკანცელარიო, ელექტრო და სამშენებლო მასალებით, სამეურნეო და ჰიგიენური საქონელით. ბაღის სხვადასხვა ნაწილის გასალამაზებლად შექმნილი და დარგულია ერთწლოვანი და მრავალწლოვანი მცენარეები. გოდერძის ალპურ ბაღში დასრულდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები: მოეწყო გზები და ბილიკები, დასრულდა ხის სახლის და მეფუტკრის სახლის სამშენებლო სამუშაოები, ასევე დასრულდა გაბიონების მიმდინარე რემონტის სამუშაოები. წარმატებით განხორციელდა ელექტრო სადენებისა და ვიდეო-სამეთვალყურეო ქსელის მიწისქვეშ ჩატანის სამუშაოები. ბაღის ცენტრალურ მარშრუტზე მოეწყო ვიზიტორთა დასასვენებელი სკვერი. დასრულდა მუდმივმოყვავილე სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები. დასრულდა ეთნოგრაფიული კუთხის, სამეცნიერო ბიბლიოთეკის და ლაბორატორიული კორპუსის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. შექმნილია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო საჯარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. დამატებით შექმნილია ელექტრო ავტობუსები, მაღალი გამავლობის ავტომანქანა (პიკაპი), მცირე გაბარიტის სატვირთო ავტომანქანა, ასევე, შექმნილია კომპიუტერები, რაციები, ფოტოაპარატი, GPS სანავიგაციო მოწყობილობა.

➤ მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია ბოტანიკური ბაღის პოპულარიზაციის ღონისძიებები, უზრუნველყოფილია ბოტანიკური ბაღის მოვლა პატრონობის ღონისძიებები, მოწესრიგებულია დამატებითი სარეკრეაციო ინფრასტრუქტურა.

ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 06 - 03 03 09)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;
ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 388,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 350,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,6%.

➤ პროგრამის აღწერა:

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება (2017 წლის დეკემბერი-2018 წლის იანვარი) - დემონტაჟი ჩაუტარდა 2 ც. ნაძვის ხეს, მანათობელ კონსტრუქციებს და საახალწლო აქსესუარებს.

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება (2018 წლის დეკემბერი-2019 წლის იანვარი) - ერას მოედანზე მოეწყო ნაძვის ხე; 24 ქუჩაზე დამონტაჟდა 1200 ცალი სახალწლო კონსტრუქცია; კ. განსახურდიასა და ბარათაშვილის ქუჩაზე ხეებზე მოეწყო 2 000 ცალი გირლიანდა; რუსთაველის ქუჩაზე პალმებზე მოეწყო 900 ცალი გირლიანდა და შენობის ფასადებზე მოეწყო 2 000 გირლიანდა.

წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები - მიმდინარეობს გზაგამყოფ ზოლებში მარტულლებისათვის აღმების დამზადება-მონტაჟი შემდგომი დემონტაჟით მთელი წლის განმავლობაში - 3100 ცალი; ქალაქში არსებული სტაციონალური ფლაგშტოკებისათვის (ახალი გემბანი, ჭადრაკის სახლი, იუნკერების



სკვერი) დროშების შეკერვა, გამოფენა და შემდგომში დემონტაჟი ორმაგი ცვეთით (ატლასის ნაჭრით ზომა 1,5მX1,0მ-ზე.) - 280 ცალი; ქალაქში არსებული წრიული სადგარებისათვის დროშების შეკერვა და მონტაჟი არსებულ ტარებზე (შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართებზე) ატლასის ნაჭრით ზომით (2მX1მ-ზე) - 240 ცალი; არასტანდარტული ზომის დროშების (9,0მX6,0მ.) შეკერვა შემდგომი მონტაჟი-დემონტაჟით, წელიწადში სამჯერ - 14 ცალი; ქალაქში არსებული სტაციონალური ფლაგმტოკებისათვის (ჭადრაკის სახლი, იუნკერების სკვერი, საზღვაო ნავსადგური) შეღებვა ანტიკოროზიული საღებავით - 26 ცალი; ი. გოგებაშვილის ქუჩა N3-ში მდებარე სტაციონალურ ანძებზე დროშების ასაწევი ბაგირის შეცვლა - 200 გრმ.მ; მემორიალური დაფების დამზადება, მონტაჟი გრანიტის ფილებით, წარწერით (ზომით 0,5კვ.მ.-დან 1 კვ.მ.-მდე) - 5 ცალი; შენობა-ნაგებობების ფასადებისა და კედლების გასუფთავება-გაწმენდა წარწერებისა და ლაქებისაგან - 22131 კვ.მ.

9 აპრილის ხსოვნისა და დამოუკიდებლობის დღისადმი აღსანიშნავი მემორიალის მოწყობა და ტერიტორიის კეთილმოწყობა - დამზადდა 9 აპრილის ხსოვნისა და დამოუკიდებლობის დღისადმი აღსანიშნავი მემორიალი

შინდისის სკვერის მიმდებარე საცხოვრებელი სახლების ფასადების შეფუთვა - ბადე ბანერით შეიფუთა 7 საცხოვრებელი სახლი, სულ 1431 კვ.მ..

➤ მიღწეული შედეგები:

ქალაქის გაფორმების ღონისძიებების განხორციელებით შეიქმნა სადღესასწაულო გარემო.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 03 04)

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 04 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 260,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 153,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91,5%.

➤ პროგრამის აღწერა:

საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა - მიმდინარეობს ჯავახიშვილის ქ. N78ა-ს მიმდებარე ორი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის (“გ“ და „დ“ კორპუსები) მშენებლობა, ამჟამად დასრულებულია ორივე კორპუსის 5 სართულის მშენებლობა.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (ხელმისაწვდომი საცხოვრისი) სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე.



➤ **მიღწეული შედეგები:**

მიმდინარეობს საცხოვრებელი კორპუსების შავი კარკასის მშენებლობა.

ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსი (პროგრამული კოდი 03 04 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსი.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 066,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 992,8 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 93,1%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

მიმდინარეობდა სალიკვიდაციო პროცესი.

მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 03 04 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2 370,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 280,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავების შეკეთება-მოწყობა - ცამეტ მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლზე მოეწყო სახურავი.

სტიქიის (ხანძრის) შედეგად დაზიანებული სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები (ქ. ბათუმში პუშკინის ქ. N26-ში (ღირებულება - 5,730 ლარი) და ზ. გორგილაძის ქ. N50/52-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის N64-ის (ღირებულება - 18,270 ლარი) ხანძრის შედეგად დაზიანებული სახურავების შეკეთებას) - ტენდერი შეწყვეტილია.

ძლიერი წვიმის შედეგად საცხოვრებელ სახლთან ჩამოშლილი ფერდის გამაგრებითი (ფერდსამაგრი) სამუშაოების (ქ. ბათუმი, იოანე ლაზის ქ. N15-ი) - დემონტაჟი ჩაუტარდა 6 კვ.მ. დაზიანებულ დამცავ და 84 კვ.მ. გაბიონის კედელს; მოიხსნა 9 კვ.მ. ბეტონის საფარი.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების კომუნალური სისტემის შეცვლა - ცხრამეტ მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლში შეიცვალა კომუნალური სისტემა.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლებში არსებული ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი - დამონტაჟდა 10 ერთეული ლიფტი.

არსებული ატრაქციონების რეაბილიტაცია - შემენილ და დამონტაჟებულ იქნა ჩამოსასრიელებელი გვირაბის მილი 20 ცალი, სწორი გვირაბის მილი 19 ცალი, პლასტმასის კედელი 16ცალი, ციფრებიანი კედელი 9 ცალი, ჩამოსაკიდი სათამაშო 15 ცალი და აიწონა-დაიწონა 29 ცალი.



მრავალსართულიანი სახლების ეზოებში დისტანციური პულტით მართვადი ბარიერების მოწყობა - თერთმეტ მრავალსართულიან სახლის ეზოში მოეწყო დისტანციური პულტით მართვადი ბარიერი.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობისა და კომუნალური სისტემის მოწესრიგება- თერთმეტ მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლის ეზოში მოწესრიგდა კომუნალური სისტემა.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში სადარბაზოს კარებისა და ელექტრო საკეტების მოწყობა - ოცდაჩვიდმეტ მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლის სადარბაზოებში მოეწყო კარები და ელექტრო საკეტები.

საცხოვრებელი სახლებისთვის საინფორმაციო ფირნიშების შექმნა-მონტაჟი - დამზადდა და დამონტაჟდა 78 ცალი ქუჩის დასახელებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრა.

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში გარე განათების მოწყობა - ეზოებში გარე განათება მოეწყო 39 მისამართზე.

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისთვის სკამების-ფანჩატურების შექმნა (განლაგებით) - ეზოებისათვის შექმნილ და განლაგებულ იქნა 55 საბაღე სკამი და 20 ფანჩატური.

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების შესასვლელში პანდუსების მოწყობა - სადარბაზოებში მოეწყო 4 ცალი პანდუსი.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოს ამორტიზირებული შესასვლელი გადახურვის ფილის მოწყობა - მოეწყო 2 ცალი სადარბაზოს გადახურვის ფილა.

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოში არსებული ამორტიზირებული ვიტრაჟების შეცვლა - თხუთმეტ მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლის სადარბაზოში შეიცვალა ამორტიზირებული ვიტრაჟები.

საცხოვრებელ სახლებზე დაზიანებული აზბესტის ფურცლების ნაცვლად ლითონის პროფილური ფურცლის აკვრა - თერთმეტ საცხოვრებელ სახლზე აზბესტის ფურცლის ნაცვლად აკრულ იქნა ლითონის პროფილური ფურცელი.

მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა.

მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 05)

მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 05 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოები.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 538,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 454,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 84,3%.

➤ პროგრამის აღწერა:

1. ა(ა)იპ ბათუმის სასაფლაოებს მოვლა-პატრონობაში - გადმოცემული აქვს 44,33ა. მ/წელს შექმნილ იქნა ფერიის სასაფლაოსათვის არსებული სანიტარული კვანძების,



საყვავილეების, მისასვლელ ჭიშკრებზე სანომრე ფირნიშების მოწყობის, ღობის აღდგენის, ფერდსამაგრი საყრდენი კედლის, გარე განათების, არხის რეკონსტრუქციის, სადრენაჟე სისტემის მოწყობის, წყლის გაყვანის, არსებული შიდა გზებისა და ბილიკების კეთილმოწყობის ხარჯთაღრიცხვა. შეკეთდა და დამონტაჟდა ფერიის სასაფლაოს დაზიანებული 55 ცალი შესასვლელი ჭიშკარი, ასევე ცენტრალური ჭიშკარი და ღობე, შეიღება დამონტაჟებული ჭიშკრები და ღობე. ფერიის ცენტრალურ სასაფლაოზე მოიჭრა 2 ძირი ამორტიზირებული ხე, რომლის დასაწყობება მოხდა მერიის საწყობში. პერიოდულად ხორციელდება ბალახის, ბუჩქების და ხეების გაკრეჭა, შეძენილია ჯაჭვური ხერხი, ყველა სასაფლაოს განყოფილება უზრუნველყოფილია საცელავი აპარატითა და საწვავით, პერიოდულად ხორციელდება ბალახის, ბუჩქების, მხვიარების და დაბალი ტანის ხეების გაკრეჭვა, 2017 წლის 30 ივნისს დასუფთავების პროგრამის ასამუშავებლად, იმისათვის, რომ საფლავის მეპატრონის მიერ დასუფთავების საფასურის გადახდა შესაძლებელი ყოფილიყო, ფეიბოქსის საშუალებით მოძიებული იქნა სერვისის მომწოდებელი პროვაიდერი სს„ნოვა ტექნოლოჯი“, რომელმაც აიღო ვალდებულება პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების საფუძველზე გაუწიოს საგადახდო მომსახურეობა, როგორც გადამხდელს, ასევე ოპერატორს და განახორციელოს გადახდის მიღება საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურეობის შესახებ, საქართველოს კანონის შესაბამისად. გაფორმდა ხელშეკრულება N 33 30, 06, 2017 წელი. შედგენილ იქნა კალკულაცია და გაგზავნილია ქალაქ ბათუმის საკრებულოში დასამტკიცებლად.ტარიფის დამტკიცებისთანავე ამოქმედდება აღნიშნული პროგრამა.

2. უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა - დაკრძალულია 22 უპატრონო მიცვალებული. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება უპატრონო მიცვალებულთა რეგისტრაცია, ნომრის მინიჭება და დაკრძალვა. ელექტრონული ტენდერით (NAT 170014193) გაფორმებულია ხელშეკრულება შპს რიტუალ-ლუქსთან, რომელიც უზრუნველყოფს უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვისათვის სასახლის მიწოდებას, საყინულე მომსახურეობას და სამგლოვიარო-სარიტუალო მომსახურეობისათვის განკუთვნილი ავტომანქანით ტრანსპორტირებას.

3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება - ჩაქვის სასაფლაოს ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ შეძენილ იქნება რბილი საოფისე ავეჯი და კომპიუტერი.

4. ფერიის სასაფლაოს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - გამოცხადებული იყო ტენდერი და მ/წლის ბოლომდე უნდა დასრულებულიყო გამაგრების სამუშაოები.ტენდერი (NAT180013370 23,08,2018 წელი)შედგა.ტენდერში გაიმარჯვა შპს „სანრაის,,2018 წლის 17 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N35 საერთო ღირებულებით 58963 ლარზე(CPV kodi 45200000).სამუშაოს შესრულების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 80 კალენდარული დღე.ტექნიკური ზედამხედველობას ახორციელებს შპს „საბა,,(ხელშეკრულება N 37 25,09,2018 წელი) საერთო ღირებულებით 1500 ლარი.

2018 წელს ვერ დასრულდა სანიაღვრე არხისა და საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები, რადგან შემსრულებელმა ვერ აიღო ცენტრალური გზის კვეთის ნებართვა და სამუშაოები გაიწელა დროში."

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოწესრიგებულია ქალაქში არსებული მუნიციპალური სასაფლაოები.



მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 05 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოები.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 523,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 516,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ტენდერი(NAT 18000990929,06,2018 წელი) ჩაქვის სასაფლაოს გარე წყალმომარაგების სამუშაოებზე შედგა. ტენდერში გამარჯვებული იყო შპს "ქედე" საერთო ღირებულებით 87196,61 ლარი დღს-ს ჩათვლით (ხელშეკრულება N31 30,07,2018 წელი.); სამუშაოს შესრულების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღე. ტექნიკურ ზედამხედველობა განახორციელა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო პროექტის ავტორმა ი/მ რევაზ დიდმანიძე (ხელშეკრულება N18 17,04,2018 წელი). ჩაქვის ახალი სასაფლაოსთვის განხორციელდა მკვებავი კაბელის მონტაჟი და კომუტაცია საამშენებლო სამუშაოების; შეძენილია ჩაქვის ახალი სასაფლაოსთვის გარეწყალმომარაგების საამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. მიმდინარე წელს დასრულდა ჩაქვის სასაფლაოს მოწყობა-მოწესრიგების სამუშაოები; (დასრულდა ელექტროქსელზე მიერთების სამუშაოები, ასევე დასრულდა წყლის მთავარ ქსელზე მიერთების სამუშაოები). გადაირიცხა შპს მამისონზე კუთვნილი საგარანტიო თანხის 15% -დან 12.5% ;შეძენილია ელექტრო გენერატორი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოწესრიგებულია ახალი მუნიციპალური სასაფლაოს ინფრასტრუქტურა.

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 03 06)

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო (პროგრამული კოდი 03 06 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 175,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 055,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 89,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

გაიცა შრომის ანაზღაურების, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების, საქონელი და მომსახურებისა და სხვა დანარჩენი ხარჯების თანხები. შეძენილ იქნა 3 ერთეული შადრევნის ტუმბო და რემონტი ჩაუტარდა 3 ერთეულ შადრევანს. შეძენილ იქნა 9 ცალი პერსონალური კომპიუტერი და უწყვეტი კვების წყარო, 11 ცალი პრინტერი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილ იქნა ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის ქვეპროგრამების მართვა.



02) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 03 06)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 208,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 131,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 63,0%. შემსყიდველი ორგანიზაცია სამუშაოების შესრულებამდე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით შესასრულებელი სამუშაოების ხარისხის უზრუნველსაყოფად ახორციელებს პროექტის ღირებულების ანაზღაურებისას თანხების დაკავებას, რაც განაპირობებს ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელს.

➤ პროგრამის აღწერა:

შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 72 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული სახლების ექსპერტიზა - ექსპერტიზა ჩატარდა 18 ერთეულ ავარიულ სახლს.

"საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროექტების განხორციელების მიზნით) - შედგენილია 96 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ღონისძიებების ექსპერტიზა - ექსპერტიზა ჩატარდა ქუჩების კეთილმოწყობის შესრულებულ სამუშაოებზე და შენობის სიმტკიცისა და მდგრადობის დასადგენად.

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 34 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

პარკების, მოედნების, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 1 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

მწვანე კონცხის დასახლების წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 1 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

მიღწეული შედეგები:

მომზადებულია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

პრიორიტეტი: განათლება

სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:



დაზუსტებული გეგმა - 13 358,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 12 863,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

შეუფერხებლად მიმდინარეობდა ადმინისტრაციული საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. გაიზარდა საბავშვო ბაღების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება 20%-ით. საბავშვო ბაღის გამგისა და აღმზრდელების ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ჩატარდა ღია კონკურსი, რის საფუძველზეც უზრუნველყოფილი იქნა სამუშაო ადგილებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოქალაქისათვის. თამარის დასახლებაში ექსპლუატაციაში შევიდა ახალი 7 ჯგუფიანი საბავშვო ბაღი, რომელიც მომსახურებას უწევს 245 აღსაზრდელს. აღნიშნული ბაღის ამოქმედებით მთლიანად დაკმაყოფილდა თამარის დასახლების მოთხოვნა საბავშვო ბაღებზე. 2018 წლის ოქტომბრიდან აღსაზრდელთა ადგილების რაოდენობა 8070 მდე გაიზარდა.

2018 წლიდან საბავშვო ბაღებში დაინერგა კვების ახალი სტანდარტი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულებების ტექნიკურ რეგლამენტთან“. ჩატარებულია მიწოდებული კვების პროდუქტების გეგმიური და მოულოდნელი ლაბორატორიული კვლევები.

ჩატარდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებული მეთოდისტების ტრენინგები. ჩატარდა პორტიჯის ასოციაციის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტრენინგები ინკლუზიური განათლების შესახებ.

ჩატარდა სახურავის აღდგენითი სამუშაოები შემდეგ საბავშვო ბაღებში: №№3,4,5,8,11,13,14,17,18,20,22,26. №23 და №24 საბავშვო ბაღებში ჩატარდა წყლის ავზების მოწყობის და შიდა სარემონტო სამუშაოები. სურსათის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციით გაფართოვდა №3, №4, №15 და №16 საბავშვო ბაღების სამზარეულოები და მოერგო მოქმედ ევროპულ სტანდარტებს. ასევე განხორციელდა №1; მე-2; მე-4; მე--6; მე-7; მე-8; მე-9; მე-10; მე-11; მე-14; მე-17; მე-20; 22-ე; 23-ე; 25-ე; 26-ე; 28-ე; 29-ე საბავშვო ბაღების ლოკალური რემონტები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები დადგენილი სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისად ფუნქციონირებს.

საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 933,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 843,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

თამარის დასახლებაში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა - დამუშავდა გრუნტი 1104 კუბ.მ., მოეწყო ბეტონის 10სმ-იანი სისქის საფუძველი 7,5 კუბ.მ., მოეწყო მონოლითური რკ. ბეტონის წერტილოვანი საძირკველი 26,35 კუბ.მ., მოეწყო მონოლითური რკ.ბეტონის რანდ. კოჭები 19 კუბ.მ., მოეწყო მონოლითური რკ.ბეტონის სარდაფის კედლები 52,8 კუბ.მ., მოეწყო სარდაფის კედლების ჰიდროიზოლაცია 264 კვ.მ., მოეწყო ღორღის საფუძველი 155 კუბ.მ., მონოლითური რკ.ბეტონის ფილა სარდაფის



სართულზე 59,4 კუბ.მ., მოეწყო მონოლითური რკ.ბეტონის გადახურვის ფილა 593,7 კუბ.მ., მოეწყო მონოლითური რკ.ბეტონის სვეტები 62,8 კუბ.მ., მოეწყო მონოლითური რკ.ბეტონის ლიფტის კედელი 19,2 კუბ.მ., მოეწყო მონოლითური რკ.ბეტონის კიბეები 13,6 კუბ.მ., მოეწყო მონოლითური რკ.ბეტონის გარე კიბეები 16,5კუბ.მ.. გადაიხურა სახურავი 0,5მმ პროფილირებული ფერადი თუნუქით 935 კვ.მ., შეიფუთა სავენტილაციო არხები გლუვი თუნუქით 59 კვ.მ., მოეწყო ლითონის თოვლდამჭერი პარაპეტი 115გრძ.მ, მოეწყო წყალშემკრები ღარები 117 გრძ.მ., მოეწყო წყალსაწრეტი მილები 144 გრძ.მ, კარისა და ფანჯრის ბლოკების თავზე მოეწყო რკ.ბეტონის ზღუდარები 12 კუბ.მ., მოეწყო კედლები ბლოკებით 40X20X20-ზე 482 კუბ.მ., მოეწყო ტიხრები 40X20X10 3 კუბ.მ, მოეწყო მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკები 233,82 კუბ.მ., მოეწყო მეტალოპლასტმასის კარის ბლოკები 83,86 კვ.მ., მოეწყო თეთრი მეტალოპლასტმასის ვიტრაჟები 38,88 კვ.მ., მოეწყო მდფ-ის კარის ბლოკები 62,72 კვ.მ. მოეწყო ლითონის ჭედური კარის ბლოკები 27,98 კვ.მ., მოეწყო ლითონის მარტივი კარის ბლოკები 1,62 კვ.მ., სან-კვანძებში მოეწყო გამყოფი მეტალოპლასტმასის ტიხრები 36 გრძ.მ აივნებსა და გარე კიბეებზე მოეწყო ლითონის მოაჯირები 100 გრძ.მ., კიბის უჯრედში მოეწყო ლითონის მხატვრული მოაჯირები, მოეწყო ქვიშა-ცემენტის მჭიმი 2530 კვ.მ., დაიგო პარკეტის იატაკი 800 კვ.მ, მოპირკეთდა იატაკები კერამიკული ფილით 310,7 კვ.მ. მოპირკეთდა იატაკები ხელოვნური გრანიტის ფილებით 264,15 კვ.მ., მოეწყო მონოლითური ლითონის პანდუსები 6 კუბ.მ., მოეწყო შეკიდული ჭერი პლასტიკატით 310,7 კვ.მ., მოეწყო თაბაშირ მუყაოს შეკიდული ჭერი 2232 კვ.მ., შეიღება ჭერები 750 კვ.მ, შეიღესა შიდა კედლები და ფერდოები 3110 კვ.მ.,სან-კვანძისა და სამზარეულოს კედლები და ფერდოები მოპირკეთდა კერამიკული ფილებით 970 კვ.მ., შეიღება შიდა კედლები და ფერდოები 1160 კვ.მ., შეიღესა გარე ფანჯრისა და კარის ფერდოები 91,6 კვ.მ., შეიღესა ფასადის კედლები 1519 კვ.მ., მოპირკეთდა ფასადი საფასადე პენოპანელებით 1405 კვ.მ., შეიღება ფასადი 880 კვ.მ., მოეწყო სანკვანძისა და სამზარეულოს კედლებზე კერამიკული ფილები 300 კვ.მ., აშენდა დამხმარე სათავსო (საქვაბე, სამზარეულო, სამრეცხაო ზომებით 12,2X4,7-ზე), მოეწყო გარე წყალსადენის ქსელი 125 გრძ.მ.-ზე, მოეწყო წყალსადენის ჭა წყალშომისათვის 0,08 კუბ.მ. (ცალი), მოეწყო ღობე მონოლითური ბეტონის საფუძველით 5,23 კუბ.მ., მოეწყო მონოლითური ბეტონის ლენტური საძირკველი 48,59 კუბ.მ., მოეწყო მონოლითური რკ.ბეტონის კედელი სარტყელით 2,9 კუბ.მ., ზემირკველზე მოეწყო კრ.ბეტონის სარტყელი 6,4 კუბ.მ., მოეწყო ლითონის ღობე 135 გრძ.მ., მოეწყო გარე კანალიზაციის ქსელი 150 მმ-იანი გოფირებული მილებით 46 გრძ.მ. (დასრულდა).

სვიშევსკის ქუჩა №1-ში მდებარე №19 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი - ეზოში აშენდა და კეთილმოეწყო დარაჯის ჯიხური ზომებით 3,2x3,2მ, კეთილმოეწყო არსებული დამხმარე სათავსოს შენობა ზომებით 3,2x3,2მ, ჩაიდგა 2 ცალი ფანჩატური. (დასრულდა).

ბათუმის იბერიის ქუჩა N1 მდებარე N26 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - მოეწყო 1100 კვ.მ. ფილა, 289,5 გრძ.მ. ბორდიური და 141 გრძ.მ რკ.ბეტონის საყრდენი კედელი; გადაირგო 10 ცალი არსებული ნარგავი; დამონტაჟდა 93 გრძ.მ. საკანალიზაციო მილი. (დასრულდა).

აღმაშენებლის ქუჩა N5-ში მდებარე N11 ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - მოეწყო 1185 კვ.მ. ფილა, 296 გრძ.მ. ბორდიური, 7 ცალი სანიაღვრე ჭა და 150 გრძ.მ. დახურული სანიაღვრე არხი; გადაირგო 12 ცალი არსებული ნარგავი; დამონტაჟდა 90 გრძ.მ. საკანალიზაციო მილი. (დასრულდა).



საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - ტექნიკური ზედამხედველობა იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე.

➤ **მიღწეული შედეგები:**

რეაბილიტირებულია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურა და აშენებულია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ახალი შენობა.

პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 40,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 39,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამა ითვალისწინებდა ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე 2018 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული 18-დან 29 წლის ასაკის ახალგაზრდების მხარდაჭერას, რომლებიც სტაჟიორად მოწვევის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე, საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, პროფესიულ სტაჟირებას და/ან გადამზადებას გაივლიდნენ აშშ-ში, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ასევე თურქეთსა და შვეიცარიაში. საანგარიშოო წლის პერიოდში აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში სულ დაფინანსდა 31 ბენეფიციარი, ამათგან 29 ბენეფიციარი სამი თვის ვადით სტაჟირების გავლის მიზნით იმყოფებოდა გერმანიაში, ერთი ბენეფიციარი ხუთი თვის ვადით იმყოფებოდა საფრანგეთში, ხოლო ერთი ბენეფიციარი ერთი თვის ვადით იმყოფებოდა ლიტვაში.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ბათუმელი ახალგაზრდებისათვის ხელმისაწვდომია უცხოეთში სტაჟირების გავლა, განვითარებული აქვთ პრაქტიკული უნარების განვითარება.

ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის (პროგრამული კოდი 04 02 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.



➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 100,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 100,0 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

სტუდენტთა სწავლის ხარისხის ამაღლებისა და მოტივირების მიზნით, შეიქმნა ქვეპროგრამა „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“.

ქვეპროგრამის ფარგლებში, 2017-2018 სასწავლო წლის ორივე სემესტრში, ქვეპროგრამითა და ღონისძიების დებულებით გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით, კონკურსის წესით შერჩეული იქნა 50 ბენეფიციარი. ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდა ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე განცხადებების მიღება წარმოებდა 2018 წლის 26 თებერვლიდან 30 მარტის ჩათვლით, 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით; ხოლო მეორე ეტაპზე 2018 წლის 24 სექტემბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით, 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით. კონკურსში გამარჯვებულ პირებზე, 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით, სტიპენდიები გაიცა არაუგვიანეს 2018 წლის მაისის თვისა და ერთობლივად მოიცავდა 4 სასწავლო თვეს, ხოლო კონკურსში გამარჯვებულ პირებზე 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრის განმავლობაში მიღებული შეფასებების მიხედვით, სტიპენდია გაიცა არაუგვიანეს 2018 წლის ნოემბრისა და ერთობლივად მოიცავდა 6 სასწავლო თვეს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

სტიმულირებულია ბათუმელ სტუდენტთა მაღალი აკადემიური მოსწრება.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 27,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 27,2 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროფესიული კოლეჯი „ბლექსის“ შენობის ფასადის და ეზოს კეთილმოწყობა (შესრულებული სამუშაოების) ანაზღაურება.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 9,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 8,9 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 96,9%.



➤ პროგრამის აღწერა:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში ჩართვისა და ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა იმ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება, რომლებსაც არ აქვთ დამოუკიდებლად დაწესებულებამდე მისვლის და შინ დაბრუნების საშუალება. ბათუმის რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლის ბაზაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით გაიხსნა ინტეგრირებული კლასი აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებისათვის. სკოლაში ირიცხება ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე 10 მოსწავლე, რომელთა ტრანსპორტირებას ვერ უზრუნველყოფდა საჯარო სკოლა. სწორედ ამ მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, 2017-2018 სასწავლო წლის განმავლობაში შეუფერხებლად განხორციელდა მათი ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა (სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლამდე მისვლა და შინ დაბრუნება).

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 195,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 185,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,0%;

➤ პროგრამის აღწერა:

ეზოს ფეხბურთი - ქალაქის ადმინისტრაციულ 10 უბანში ჩამოყალიბდა 30 საფეხბურთო გუნდი, რომელშიც გაწევრიანებული არიან 2003-2008 წლებში დაბადებული მოზარდები, გუნდებს დაენიშნათ მწვრთნელები, ვარჯიშები მიმდინარეობს ინტენსიურად. 2018 წლის 15 იანვრიდან მიმდინარეობს საგაზაფხულო ლიგა, სადაც გამოვლინდება როგორც შეჯიბრის ასევე სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები. გამარჯვებული გუნდებისათვის მოეწყობა ექსკურსია საქართველოს ფარგლებში, ასევე დაჯილდოვდებიან თასებით და სიგელებით. ტურნირი ჩატარდება ადმინისტრაციული უბნების ტერიტორიაზე; ქ. ბათუმის სპორტული ცენტრის ორგანიზებით 21 ივნისს დასრულდა საგაზაფხულო ლიგა ეზოს ფეხბურთში, სადაც მონაწილეობას იღებდა 32 გუნდი (2 გოგონათა გუნდი). გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და თასებით.

Street ball ტურნირი საშემოდგომო/საგაზაფხულო ლიგა - ქ. ბათუმის სპორტული ცენტრის ორგანიზებით 12 მაისს დაწყებული ტურნირი ქუჩის კალათბურთში STREETBALL 13 მაისს დამთავრდა. ტურნირში 22 გუნდი ღებულობდა მონაწილეობას, ხოლო მეორე ეტაპი ჩატარდა 24-25 ნოემბერს, სადაც მონაწილეობა მიიღო 13-მა გუნდმა



(18 წლამდე ასაკის მოთამაშეები) გამარჯვებულ გუნდებს და საუკეთესო მოთამაშეს გადაეცათ სიგელები და ფასიანი ვაუჩერები.

ვეტერანებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ტურნირის ორგანიზება - განხორციელდა ვეტერანებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ტურნირი (ნარდი; შაში; დარტსი) 2 მარტიდან 8 მარტის ჩათვლით. მიმდინარე წლის 26 მაისს სპორტული ცენტრის ორგანიზებით დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი ვეტერანთა შორის ნარდში შაში, დარტსში და მაგიდის ჩოგბურთში დასრულდა. გამარჯვებულ მონაწილეებს გადაეცათ სიგელები და თასები.

სხვადასხვა სპორტული ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის; ღონისძიება ჩატარდა 8-9 დეკემბერს სადაც მონაწილეობა მიიღო 120 უნარშეზღუდულმა სხვადასხვა ქალაქებიდან . ღონისძიება მოიცავდა ხუთ სახეობას (ნარდი შაში დარტი მკლავჭიდი და ფეხბურთი) გამოვლენილ გამარჯვებულებს გადაეცათ თასები სიგელები და ფასიანი სასაჩუქრე ვაუჩერები.

აუტიზმის სინდრომის მქონე ბავშვთა საფეხბურთო სკოლა - გასული წლის 13 იანვრიდან ჩამოყალიბდა აუტიზმის სინდრომის მქონე ბავშვთა საფეხბურთო სკოლა, 45 მოზარდით დაკომპლექტებული. 2018 წლის 22 მაისს გაიხსნა აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა საფეხბურთო სკოლა. ბავშვებს გადაეცათ გამაჯანსაღებელი მასაჟების ვაუჩერები და დელფინარიულ შოუზე დასასწრები ბილეთები.

სასკოლო ოლიმპიადა - მიმდინარეობდა 29 სექტემბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა 6 სახეობაში შეჯიბრი (მინი ფეხბურთი, ქუჩის კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, გეზმრბენი, ფრენბურთი, მხიარული თამაშები). გამოვლინდა გამარჯვებული სკოლები დაჯილდოვდნენ თასებითა და მედლებით. ისინი მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალურ სასკოლო ჩემპიონატში.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობა.

საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 307,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 306,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,7%.

➤ პროგრამის აღწერა:

პირველ კვარტალში ქვეპროგრამას დაემატა 2 საერთაშორისო ღონისძიება: 1 - საერთაშორისო ტურნირი შოტოკან კარატე დო; 2 - საერთაშორისო ტურნირი ბილიარდში. მიმდინარეობს სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური პირობების შემუშავება შემდეგ ღონისძიებებზე: „მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში" . სანგარიშო პერიოდში ჩატარდა საერთაშორისო ღონისძიებები: 1) „მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში"; 2) საერთაშორისო ტურნირი შოტოკან კარატე დო - ში; 3) ბილიარდში საერთაშორისო ტურნირი „AJARA OPEN 2018" ; მეორე კვარტალში ჩატარდა „მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში" 11-13 მაისი; „საერთაშორისო ტურნირი შოტოკან კარატე



დო-ში - 1-3 ივნისი"; „ბილიარდში საერთაშორისო ტურნირი „AJARA OPEN 2018 - 3-8 ივნისი"; ქვეპროგრამას დაემატა „გენო მენაბდის სახელობის ტურნირი მინი ფეხბურთში" და „საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში". დამუშავდა „საერთაშორისო სპორტული ცეკვების" და „რ.სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის" სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური პირობები. მომზადდა ქ. ბათუმის მერის ბრძანებების პროექტი გამარჯვებული სპორტსმენების ფულადი ჯილდოს გამოყოფის თაობაზე. საანგარიშო პერიოდში გამოიკა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 22.05.2018წ 2134 #ბრძანება „ქ. ბათუმის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „სპორტის განვითარების ხელშეწყობა", ქვეპროგრამის „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა" („ბილიარდში საერთაშორისო ტურნირი AJARA OPEN 2018") ფარგლებში თანხის გამოყოფის თაობაზე. აღნიშნული ბრძანებით გამოიყო და გაიკა 22 400 ლარი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 22.05.2018 წ. 2132 #ბრძანება „ქ. ბათუმის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „სპორტის განვითარების ხელშეწყობის", ქვეპროგრამის „საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა" („საერთაშორისო ჩემპიონატი შოტოკან კარატე დო-ში) ფარგლებში თანხის გამოყოფის თაობაზე. აღნიშნული ბრძანებით გამოიყო და გაიკა 2500ლარი. მესამე კვარტაში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები: 1) „საერთაშორისო სპორტული ცეკვები" 1-4 ივლისი; 2) რ.სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის" 5-10 სექტემბერი; 3) „აღმოსავლეთ ევროპის ზონალური EVZA საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფრენბურთში" 10-14 სექტემბერი; 4) „საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფეხბურთში" 27-30 სექტემბერი. 5) საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში" 15-22 სექტემბერი; გამოიკა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 14.09.2018 წ. #2628 ბრძანება საპრიზო თანხის გამოყოფის თაობაზე. აღნიშნული ბრძანების ფარგლებში გამოიყო 23925 ლარი. „ გენო მენაბდის სახელობის ტურნირი მინი ფეხბურთში" სპორტულ ღონისძიებაზე გამოცხადდა ტენდერი დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება #154 07.08.2018 წ. ი/მ მეგი შაქარიშვილთან. მომსახურება უნდა განხორციელებულიყო 7-10 სექტემბერს, რომელიც მომწოდებელმა არ განახორციელა, ხოლო ქ. ბათუმის მერის 19/09/2018 წ. #2638 ბრძანებით შეწყდა ხელშეკრულება და ი/მ შაქარიშვილს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა. მეოთხე კვარტალში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიება: 1) საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფეხბურთში 27 სექტემბერი 1 ოქტომბერი; 2) საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 19-23 ოქტომბერი;

➤ **მიღწეული შედეგები:**

ჩატარებულია საერთაშორისო სპორტული ტურნირები, ადგილობრივი და უცხოელი სპორტსმენების მონაწილეობით.

ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.



➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 50,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 43,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86,9%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში შეიქმნა საკონკურსო კომისია, რომელიც მოახდენს დაფინანსების მსურველთა განაცხადების განხილვას. სანგარიშო პერიოდში შემოვიდა 4 კონკურსანტის განაცხადი. 2018 წლის 12 ივნისის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის #2256 ბრძანებით დადგენილი დებულების მოთხოვნებს შეესაბამებოდა მხოლოდ სამი კონკურსანტის მონაცემები, გამარჯვებულად გამოვლინდა 3 კონკურსანტი. მესამე კვარტალში სპორტსმენებმა: ლუკა შანთაძემ, ნიკოლოზ გოგუაძემ და საბა გაბრიჭიძემ მონაწილეობა მიიღეს 12-15 ივლისს ქ. სტამბულში „თურქეთის საერთაშორისო ღია ჩემპიონატი კარატეში“. თითოეული სპორტსმენი დაფინანსდა 1215 ლარით (სასტუმრო, მონაწილეობის საფასური, მგზავრობა);

სანგარიშო პერიოდში ივლისის თვეში შემოვიდა 1 კონკურსანტის განაცხადი. 2018 წლის 13 ივლისის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის #2380 ბრძანებით კონკურში გამარჯვებულად გამოვლინდა კონკურსანტი კესარია მგელაძე, რომელიც საქართველოს ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის რეკომენდაციით მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა ქალაქ რიგაში 19-30 აგვისტოს ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატში. სპორტსმენს მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოეყო 2952 ლარი (სასტუმრო, მონაწილეობის საფასური);

სანგარიშო პერიოდში აგვისტოს თვეში შემოვიდა 6 კონკურსანტის განაცხადი. 2018 წლის 21 სექტემბრის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის #2647 ბრძანებით კონკურში გამარჯვებულად გამოვლინდა კონკურსანტი ნოდარ ხაჯიშვილი, რომელიც მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა ირლანდიაში ქალაქ დუბლინში 3-7 ოქტომბერს შოტოკან კარატე- დოს მსოფლიო თასის გათამაშებაზე (WSKF). სპორტსმენს მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოეყო 3000 ლარი (სასტუმრო, მონაწილეობის საფასური, ვიზა, ბილეთი);

ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 5-მა ბათუმელმა სპორტსმენმა მიიღო ფინანსური დახმარება საერთაშორისო სპორტული ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით. წლის ბოლოს გამართულ შემაჯამებელ ღონისძიებაზე "წლის შემაჯამებელი შეხვედრა წარმატებულ სპორტსმენებთან და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან" ფარგლებში გამოცხადებულ კონკურში ნომინაციებში გამარჯვებულად გამოვლინდნენ: „წლის სპორტსმენი“ - ნინო ბაციაშვილი და გიორგი ძინძიბაძე; „წლის მწვრთნელი“ - მერაბ ჭანტურია, ხათუნა გიორგაძე; „წლის გუნდი“ ა(ა)იპ „საჭადრაკო კლუბი ნონა“ ; „წლის დებიუტანტი“ - თემურ ემირიძე; ამავე ღონისძიებაზე დაჯილდოვდა 64 სპორტსმენი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის #3087 ბრძანებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა“, ღონისძიების „ჯილდო სპორტული მიღწევებისა და დამსახურებებისათვის“ ფარგლებში.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია პერსპექტიულ და წარმატებულ ბათუმელ სპორტსმენტა ფინანსური მხარდაჭერა.



სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 4 838,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 4 698,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,1%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შედეგი სპორტული კლუბები:

"ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული პროფესიული სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობას.

შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო ბათუმი“ - საანგარიშო პერიოდისათვის განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1) პლაჟის ფეხბურთელთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო პორტუგალიის ქ. ნაზარეში გამართულ „ევრო ვინერს კაპ“- ის გათამაშებაში და საბოლოოდ აიღო მერვე ადგილი. 2) დასავლეთ საქართველოს გუნდებს შორის ჭაბუკთა ლიგაზე მოასპარეზე გუნდებს შორის გათამაშების პირველ ეტაპზე 15 და 19 წწ. ასაკის გუნდებმა დაიკავეს საპრიზო ადგილები და მონაწილეობას განაგრძობენ ოქროს ლიგაში. 3) 2004 და 2005 წელს დაბადებულ ბავშვთა გათამაშების ჩემპიონატში დინამო ბათუმის გუნდები სატურნირო ცხრილში იკავებენ პირველ ადგილს. მესამე კვარტალში შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო ბათუმი“ განხორციელდა ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალის, ძირითადი გუნდის მწვრთნელებისა და სპორტსმენების შრომის ანაზღაურება. პლაჟის ფეხბურთის გუნდმა მოიგო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი პლაჟის ფეხბურთში. 2) პლაჟის ფეხბურთის გოგონათა გუნდმა მოიგო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი პლაჟის ფეხბურთში. საანგარიშო პერიოდში კლუბში მოღვაწე ჯგუფებმა მიაღწიეს შემდეგ შედეგებს: 1. დინამო- 2 „რეგიონალური ლიგა“ - დაიკავა III ადგილი; 2. U-19 „19 ლიგა“ 19 წლევანდელთა ლიგაში დაიკავა V ადგილი; 3. U-17 „ჭაბუკთა ლიგა“ XVI ადგილი; 4. U-16 (I გუნდი) „სამეგრელოს ღია ჩემპიონატი“ II ადგილი; 5. U-16 (II გუნდი) „სამეგრელოს ღია ჩემპიონატი“ III ადგილი; 6. U-15 „ჭაბუკთა ლიგა“ V ადგილი; 7. U-14 (I გუნდი) „როინ კვასხადის სახელობის თასი“ II ადგილი; 7. U-14 (II გუნდი) „სამეგრელოს ღია ჩემპიონატი“ VII ადგილი; 8. U-13 (I გუნდი) „გივი ნოდის სახელობის თასი“ I ადგილი; 9. U-13 (II გუნდი) „აჭარა-გურიის ჩემპიონატი“ I ადგილი; 10. U-12 „სამეგრელოს ღია ჩემპიონატი“ III ადგილი; 11. U-11 „სამეგრელოს ღია ჩემპიონატი“ VI ადგილი; 12. U-10 „სამეგრელოს ღია ჩემპიონატი“ I ადგილი;

"შპს „სარაგბო კლუბი „ბათუმი“". საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელდა:

ა) სარაგბო სტადიონის მოვლა-პატრონობა:

- 2018 წლის განმავლობაში სტადიონის მომვლელელებზე გაიცა ხელფასები; შეძენილი იქნა სპორტული მოედნის სატკეპნი და საჩხვლეტი ტექნიკა, საჩხერის ქვიშა 80 კუბი, ტრაქტორი, სასუქები და ნიტროგენული ნაერთები (პესტიციდები) , მოტობლოკის ურიკა, შემასხურებელი ძრავით, განხორციელდა სარაგბო მოედნის კორდით მოწყობა, მოედნის გამოთესვა, ქვიშის შეტანა, ტობდრესინგი, ფოცხის გატარება, ხელოვნური მოედნის სანიაღვრე არხების გაწმენდა და კაუჩუკის გრანულების შეტანა, სტადიონის ტერიტორიის დალაგება.

ბ) ძირითადი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა:



- 2018 წლის განმავლობაში ადმინისტრაციისა და ტექნიკურ პერსონალზე (სულ 20 კაცი) გაიცა ხელფასები:

- ძირითადი გუნდის მწვრთნელებსა და სპორტსმენებზე (56 კაცი) გაიცა ხელფასები:
- გაწეული იქნა შემდეგი ხარჯები : ოფისის ხარჯი, ბინების ქირის, საკანცელარიო, კომპიუტერული ტექნიკის, ჰიგიენისა და საწმენდი საშუალებების, ფორმების რეცხვის, ღონისძიებებზე სიგელების, თასების და ფასიანი საჩუქრების გადაცემის.

- ჩელენჯ-თასის შესარჩევ ტურნირზე მონაწილეობისათვის გაწეული იქნა ძირითადი გუნდის სამივლინებლო ხარჯი (ტრანსპორტი+სასტუმრო +კვება + წარმომადგენლობით ხარჯი)

- გაწეული იქნა სპორტსმენების (4 მორაგბე) ტრანსფერის ხარჯები:
- გაწეული იქნა სამედიცინო ხარჯი : დაზღვევის, მედიკამენტების, სტრაპების, სპორტული დანამატებისა და ფიზიოთერაპიის ხარჯები;

- გაწეული იქნა ძირითადი გუნდის საწევროებისა და მორაგბეების ლიცენზიის ხარჯი, შეკრებების ხარჯი (გასვლის რაოდენობა) : მეორე წრის მოსამზადებელი შეკრება.

- განხორციელდა შიგა სატურნირო მივლინებები (გასვლა) : ძირითადი გუნდისა და ადმინისტრაციის წევრების ქვეყნის შიგნით მივლინებები. (ტრანსპორტი+ კვება+ სასტუმრო)

- შეძენილი იქნა სპორტული ინვენტარი და ტანისამოსი, სავარჯიშო, სპორტული ინვენტარი, ბურთები, შტანგები და სპორტული ეკიპირება.

- განხორციელდა ქვიშის რაგბში საერთაშორისო ტურნირის ორგანიზება (ჩამოსული სტუმრების ღონისძიებაში მიმდინარეობისას სასტუმროს , კვების და ტრანსპორტირების მომსახურება).

გ) სარაგბო კლუბის „ბათუმის“ ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა

- ბავშვთა ასაკობრივი გუნდის მწვრთნელებზე გაიცა ხელფასები;
- გაწეული იქნა ბავშვთა ჯგუფების სამივლინებო ხარჯები (ტრანსპორტირებისა და კვების ხარჯი).

- ბავშვთა ჯგუფებისათვის გაწეული იქნა 4 სკოლის ქირავნობის ხარჯი.

საანგარიშო პერიოდში ძირითადმა გუნდმა „ევროპის კონტინენტის გათამშების ტურნირი“ იათამაშა. კლუბის უმაღლესი გუნდის მორაგბეებმა გიორგი თხილაიშვილმა და ლაშა ხმალაძემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთა თასის გათამაშებაში, სადაც გიორგი თხილაიშვილი დასახელდა საუკეთესო მოთამაშედ; უმაღლესი ლიგის გუნდიდან ეროვნულ ნაკრებში ირიცხება 6 მორაგბე. ბათუმის აღზრდილი ორი მორაგბე დურმიშხან ჯაბნიძე და გიორგი მენაბდე ირიცხება საქართველოს 20 წლამდე ახალგაზრდულ ნაკრების მოთამაშედ. U18 გამოძახებული იყო ბათუმის ახალგაზრდა მორაგბეები დასავლეთ საქართველოს ნაკრების შერჩევაზე, ასევე U20 წლამდე 4 მორაგბე .

საფესტივალო ასაკის ბავშვთა გუნდების 3 კალენდარული ღონისძიება განხორციელდა წლის განმავლობაში . ასევე წლის განმავლობაში ძირითადად ყოველ შაბათ კვირას ტარდება ამხანაგური შიდა ფესტივალი.

"შპს საკალათბურთო კლუბ „ბათუმი 2010“- საანგარიშო წლის განმავლობაში, კლუბის წარმატებისათვის და მიღწევებისათვის გაიცა ძირითადი გუნდის მწვრთნელებისა და სპორტსმენების შრომის ანაზღაურება 17 პერსონაზე, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება 6 პერსონაზე ხოლო ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობისათვის ასაკობრივი ჯგუფის 1



მწვრთნელის შრომის ანაზღაურება, ბავშვთა ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა ბავშვთა რაოდენობა განისაზღვრება 14 ბავშვით.

საანგარიშო პერიოდში გაწეული იქნა შემდეგი ხარჯები; მოწვეული მოთამაშეების მგზავრობის, მოთამაშეების შეძენისათვის ლიცენზიებისა და საწევროს ხარჯები, ასევე, სათამაშო და სატრენაჟორო დარბაზის იჯარის ხარჯი, ასევე შეძენილი და გახარჯულია სამედიცინო მოწყობილობები და ფარმაცევტიული პროდუქტები. კლუბის სპორტსმენებისათვის შეძენილია აგრეთვე სპორტული ინვენტარი, სათამაშო ფორმები.

გუნდი დაფინანსდა ქ.თბილისში, ქ.რუსთავში, ქ.ქუთაისში კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად შიდა სატურნირო მივლინებისათვის. (გაწეული იქნა ტრანსპორტის, მზავრობისა და დღიური ხარჯები). ასევე ადგილზე სპორტული ღონისძიების ორგანიზებისათვის. 2017-18 წლის შედეგებით გუნდი მოხვდა პლეიოფის გათამაშებაში და დაიკავა მე-5 ადგილი.

2018 წლის 28-30 სექტემბრის ჩათვლით ჩატარდა ვ.ალთაბაევისა და ა.კილაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში. ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყვნენ ბაქოს, ტრაპზონის, თბილისის აკადემიისა და ბათუმის გუნდები. გამოვლინდნენ საუკეთესო გუნდები რომლებიც დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებით და სიგელებით."

"შპს „ფრენბურთის კლუბი ბათუმი" - საანგარიშო პერიოდისათვის განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1) გოგონათა გუნდმა აპრილში გამართულ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში დაიკავა მესამე ადგილი. 2) გოგონათა გუნდმა გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონატში მათს ს თვეში დაიკავა პირველი ადგილი. ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ გამოცხადდა ანასტასია ფალავანდიშვილი. მესამე კვარტალში განხორციელდა ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალის, ძირითადი გუნდის მწვრთნელებისა და სპორტსმენების შრომის ანაზღაურება. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თოვლის ფრენბურთში - ელიზაბედ ფალავანდიშვილისა და ნანა წოწონავას წყვილმა დაიკავა მეორე ადგილი, ხოლო ნინო სტურუასა და ანა თვაურის წყვილმა მესამე ადგილი. პირველი ქართველი წყვილი, რომელმაც ითამაშა თოვლის ფრენბურთი ევროპის ჩემპიონატზე და მოიპოვა სალიცენზიო ქულები (ევროპის ჩემპიონატი - თურქეთი და ევროპის ტური - ბაკურიანი) გახდა ნანა წოწონავა-ელიზაბედ ფალავანდიშვილის წყვილი.

საქართველოს ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში - მეორე ადგილი დაიკავა ნანა წოწონავა-ელიზაბედ ფალავანდიშვილის წყვილმა. (ქალთა შორის-ეროვნული ჩემპიონატი) საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ახალგაზრდებში საპლაჟო ფრენბურთი პირველი ადგილი დაიკავა ლიზი დიასამიძე-ანასტასია ფალავანდიშვილმა. მესამე ადგილი ქეთი ბერიძე-ნინო მჟავია; საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი-უმაღლესი ლიგა-- ფრენბურთის ქალთა გუნდმა დაიკავა მესამე ადგილი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ახალგაზრდები 2004-2005 წლებიდან დაიკავა პირველი ადგილი."

"საქართველოს ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაში არიან ჩვენი კლუბის წევრები ანა დიასამიძე და ლიზი ლოზიანიძე, რომლებმაც ითამაშეს ევროპის ჩემპიონატი და ევროლიგა. საქართველოს ნაკრების წევრია აგრეთვე ელიზაბედ ფალავანდიშვილი. საქართველოს ეროვნული ახალგაზრდული ნაკრები შედგება ძირითადად ჩვენი კლუბის გოგონებით საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელია ხათუნა გიორგაძე. სპორტსმენები: 1. ნინო მჟავია. 2. ქეთი ბერიძე. 3. ანასტასია ფალავანდიშვილი. 4. ლიზი დიასამიძე. 5. ნიკოლი ზახაროვა. 6. სოფო ნანობაშვილი. 7.



ნინო ცინცაბაძე. კლუბის წევრებმა წარმატებით იასპარეხეს აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატზე პოლონეთში.

ფრენბურთის კლუბის ასაკობრივმა ჯგუფმა (ვაჟები) მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში და გავიდნენ პირველ საპრიზო ადგილზე. ამ ჯგუფის სამი სპორტსმენი მერაბ დოლიძე, ლუკა ჭალაიძე და ნიკოლოზ წამალაშვილი აიყვანეს საქართველოს ეროვნულ ახალგაზრდულ ნაკრებში, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთ ევროპის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ჩატარდა ერევანში. ასევე ვაჟთა ჯგუფის ძირითადი შემადგენლობა მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ქვიშის ფრენბურთში, სადაც პირველი საპრიზო ადგილი დაიკავეს."

"შპს „ხელბურთის კლუბი „ბათუმი" - საანგარიშო პერიოდისათვის განხორციელდა;

1. გაიცა ხელფასები შტატთან და შტატგარეშე თანამშრომლებზე.

2. გადახდილია საწევრო გადასახადები როგორც საქართველოს ასევე ევროპის ფედერაციებში.

3. 2018 წელს ჩატარდა 28-ე ეროვნული ჩემპიონატი და საქართველოს თასის გათამაშება. ეს ჩემპიონატები ჩატარდა რამდენიმე ტურად საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, სადაც მივლინებული იყო ხელბურთის გუნდი „ბზბ“.

4. 2018 წელს კლუბი გახდა 28-ე ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული და მოიპოვა საგზური ევროპის ფედერაციის თასის გათამაშების პირველი რაუნდის მატჩებში, რომელიც ჩატარდა კოსოვოს ქალაქ პეჯაში. კლუბი ვერ გადავიდა შემდეგ რაუნდში, მაგრამ დიდი გამოცდილება მიიღო.

5. რაც შეეხება საერთაშორისო ტურნირებს, კლუბი ბათუმი მიწვეული იყო ჰეიდარ ალიევის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირზე, კლუბმა წარმატებით იასპარეხა ამ ტურნირში და დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი.

6. გუდისთვის შეძენილია სპორტული ტანსაცმელი, ბურთები და სხვადასხვა სპორტული ინვენტარი, მედიკამენტები.

7. კლუბს იჯარით აღებული აქვს სპორტული დარბაზი, სადაც სისტემატიურად ვარჯიშობენ პროფესიონალი სპორტსმენები.

- ბავშვთა ასაკობრივ ჯგუფებს რაც შეეხება, კლუბში არის 5 ასაკობრივი ჯგუფი ვაჟები და 2 ასაკობრივი ჯგუფი გოგონები.

1. 2018 წელს გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი 2002-03 წწ დაბადებულ ვაჟთა გუნდებს "

"შორის, 2004-05წწ დაბადებულ გოგონათა შორის ჩატარდა ფესტივალის პირველი ტური. კლუბის ბავშვებმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

2. გოგონათა გუნდი (2004-05წწ) მიწვეული იყო ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე. სადაც გვასახელეს და მეორე ადგილი დაიკავეს.

3. 2018 წელს კლუბმა ჩაატარა ოთარ ფაღავას საერთაშორისო ტურნირი 2002-03წლებში დაბადებულ ვაჟთა და გოგონათა გუნდებს შორის - ჩვენმა აღსაზრდელებმა დაიკავეს პირველი ადგილი.

4. ასევე ჩატარდა აჭარის ჩემპიონატი 2004-05წწ დაბადებულ გოგონათა გუნდებს შორის კლუბის გოგონები აჭარის ჩემპიონები გახდნენ.

5. კლუბის ყველა ასაკობრივი ჯგუფის წევრები ეკიპირებულია და აჭურვილია სპორტული ინვენტარით.



შპს „წყალბურთის კლუბი „ბათუმი“ - 2018 წლის განმავლობაში კლუბის 30 წევრის ვარჯიშისა და განვითარებისათვის განხორციელდა კლუბის 6 თანამშრომლის შრომის ანაზღაურება, მათ შორის 3 ადმინისტრაციისა და ტექ. პერსონალის და 3 ძირითადი გუნდის მწვრთნელის. კლუბის წევრების მოსამზადებლად შპს „მარდი პლაზამ“ კლუბს გაუწია საცურაო აუზით მომსახურება 10 თვის განმავლობაში. საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად კლუბი 4-ჯერ იყო მივლინებული ქ. თბილისში. 2018 წლის აგვისტოს თვეში ქ. ბათუმში კლუბის ორგანიზებით ჩატარდა "პეტრე ბრეუსის თასი", რომელშიც მონაწილეობას იღებდა ქუთაისის, თბილისის, რუსთავისა და აზერბაიჯანის გუნდები და ბათუმის გუნდმა აიღო მე-2 ადგილი. 2018 წელს ასევე განხორციელდა სხვადასხვა საკანცელარო საქონლის შესყიდვა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია პროფესიული და მასობრივი სპორტის განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების სუბსიდირება.

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა" (პროგრამული კოდი 05 01 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა".

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 338,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 337,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საჭადრაკო კლუბის მიერ განხორციელდა საწვრთნო ბაზის სრულყოფა; საჭადრაკო კლუბ ნონასთან არსებულ ასაკობრივ ჯგუფებში ბავშვთა და მოზარდთა მომზადება; ევროპის საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება; შიდა ტურნირების ორგანიზება; საჭადრაკო მატჩების ორგანიზება უცხოელ მოჭადრაკეებთან, საჭადრაკო ლაივ დაფების მეშვეობით; ღია საერთაშორისო ნორმირებული ფესტივალის ორგანიზება; შიდა საჭადრაკო ტურნირების ორგანიზება.

კლუბის მიერ ჩატარებულ იქნა 12 საერთაშორისო ღონისძიება, ორგანიზება გაეწია 38 ტურნირს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

საჭადრაკო კლუბის მიერ ორგანიზებულია საერთაშორისო და ადგილობრივი ტურნირები, საჭადრაკო კლუბის წევრები და ასაკობრივი ჯგუფები მონაწილეობას ღებულობენ ეროვნულ და საერთაშორისო ტურნირებში.

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი (პროგრამული კოდი 05 01 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 154,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 152,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

პროგრამის გათვალისწინებით 2018 წელს შეუფერხებლად გაიცა თანამშრომლებზე ხელფასები, შეძენილი იქნა ცხენებისათვის საკვები მარაგები და წამლები, თავლისათვის ნახერხი, ცხენებისათვის ინვენტარი. თავლის რემონტისათვის შევიძინეთ მასალები. ღია



მანუქისთვის გაკეთდა ღობე. ქვეპროგრამის ფარგლებში მივიღეთ დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა. მათ შორის: 1. ქ. თბილისი 28-30 იანვარი - მარდონ ლაბაშიას თასის გათამაშებაში - I-II ადგილი (2 სპორტსმენი). 2. ქ. სტამბული 14-26 მარტი სტამბულის გათამაშების თასის კლუბ ქემერ ქანტრის შეჯიბრში - I-II-IV ადგილები (2 სპორტსმენი). 3. 19-21 აპრილი, კაჭრეთი შიდა ქართლის ტურნირი დაბრკოლებათა გადალახვაში(3 სპორტსმენი). 4. 21-29 აპრილი საქართველოს თასის პირველობა -II ადგილი. 5. 30 აპრილი - 2 მაისი - ახმეტა, ნაციონალური შეჯიბრი დოღში. 6. 25-26 მაისი სამტრედიის გრანპრის შეჯიბრი - II ადგილი. 7. ქ. ანაკლია 27-29 სექტემბერი ანაკლიის თასის შეჯიბრი, 2 სპორტსმენი III ადგილი. 8. 19-20 ოქტომბერი ქ. სენაკი ეგრისის თასი I ადგილი (2 სპორტსმენი). 8. 25-28 ოქტომბერი ქ. კაჭრეთი საქართველოს პირველობა III ადგილი (2 სპორტსმენი). 9. 18-23 ნოემბერი ქ. ფოთი ვ. მაქაცარიას თასი II ადგილი (2 სპორტსმენი). 10. 21-24 ნოემბერი ქ. ახმეტა ერეკლე მეფის თასი IV ადგილი (1 სპორტსმენი).

➤ მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია მუნიციპალური საცხენოსნო ინფრასტრუქტურის მოვლა პატრონობის და საცხენოსნო სპორტის პოპულარიზაციის ღონისძიებები; უზრუნველყოფილია საცხენოსნო კლუბის მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირებზე.

მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 05 02)

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1 346,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 321,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,2%;

➤ პროგრამის აღწერა:

ადმინისტრაციული საქმიანობისათვის გატარდა რიგი სამეურნეო სამუშაოები, დაფინანსდა ცენტრის გამართულად ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები კავშირგაბმულობის, სატელეკომუნიკაციო კომუნალური და სხვა;

სპორტული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის კლუბის განვითარება - ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს ჰოკეის ჯგუფი, წვრთნას ახორციელებს ჰოკეის მწვრთელი, წვრთნას გადიან საქართველოს ყინულის ჰოკეის გუნდის წევრები, რომლებიც რეგულარულად უტარებენ მასტერკლასს ჰოკეის ჯგუფში გაერთიანებულ მოზარდებს;

სპორტული ცენტრის ბაზაზე ფიგურული ციგურაობის კლუბის განვითარება - ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 15 სამოყვარულო ჯგუფი, 2 სინქრონული ფიგურული ციგურაობის გუნდი, 3 ერთეულთა თანრიგის ნაკრები, რომელშიც გაწევრიანებულია 550-მდე მოზარდი. გასული წლის 15 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით ჰოლანდიაში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ლუმიერის თასზე სინქრონულ ფიგურულ ციგურაობაში. 2 მარტიდან 5 მარტის ჩათვლით ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ბუდაპეშტში budapest cap 2018 სინქრონულ ფიგურულ ციგურაობაში. საანგარიშო პერიოდის 17-24 აპრილის ჩათვლით საფრანგეთში ჩატარდა ტურნირი



ROSTER CUP 2018, რომელშიც სპორტული ცენტრის 9 მოციგურავე იღებდა მონაწილეობას. 21-24 ნოემბრის ჩათვლით სლოვენის ქალაქ ცელიეში ჩატარდა სართაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სპორტული ცენტრის მოციგურავეები, სადაც 1 ვერცხლის მედალი მოიპოვეს. 13-18 დეკემბრის ჩათვლით სლოვაკეთში ჩატარდა გრამპრის მესამოცე სართაშორისო ტურნირი, სადაც სპორტული ცენტრის მოციგურავეები იღებდნენ მონაწილეობას, სადაც 3 ოქროს, 1 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

სანიჩბოსნო სპორტის განვითარების ხელშეწყობა - მონაწილეობა მიიღეს 5 ოქტომბერს საქართველოს ჩემპიონატში.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ცენტრის სასპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ცენტრის ბაზაზე არსებული სპორტული კლუბების საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობა.

სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 2 761,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2 684,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ფრიდონ ხალვაშის ქუჩა N334 მიმდებარე საცხოვრებელი კორპუსის უკანა ეზოში მდებარე მიწის ნაკვეთზე სპორტული მოედნის მოწყობა - დაიგო 798,7 კვ.მ. ხელოვნური მწვანე საფარი; დამონტაჟდა 2 ფეხბურთის კარი, 2 საკალათბურთო ფარი, დამონტაჟდა 6 ცალი განათების ბოძი. (დასრულდა).

ფრიდონ ხალვაშის ქუჩა N334 მიმდებარე საცხოვრებელი კორპუსის უკანა ეზოში მდებარე მიწის ნაკვეთზე სპორტული მოედნის მოწყობა - დაიგო 798,7 კვ.მ. ხელოვნური მწვანე საფარი; დამონტაჟდა 2 ფეხბურთის კარი, 2 საკალათბურთო ფარი, დამონტაჟდა 6 ცალი განათების ბოძი. (დასრულდა).

ლადო ასათიანის ქუჩა #27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა (მე-2 ეტაპი) - მოეწყო 556 კვ.მ. სხვადასხვა ზომის ფილადა, 111 გრმ.მ. ბორდიური და 20 ცალი დეკორატიული განათება; დაიგო 964 კვ.მ. მწვანე კორდი და 2268 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი. (დასრულდა).

ყინულის სასახლის მიმდებარედ მშენებარე სპორტ. კომპლექსის ელ. ენერჯის, წყლის, კანალიზაციის და ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვა - სპორტ. კომპლექსი მიუერთდა ელ. ენერჯისა და ბუნებრივი აირის ქსელს.

ლადო ასათიანის ქუჩა #27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა (მე-2 ეტაპი) - მოეწყო 556 კვ.მ. სხვადასხვა ზომის ფილადა, 111 გრმ.მ. ბორდიური და 20 ცალი დეკორატიული განათება; დაიგო 964 კვ.მ. მწვანე კორდი და 2268 კვ.მ. ა/ბეტონის საფარი. (დასრულდა).

➤ **მიღწეული შედეგები:**

მიმდინარეობს ქალაქის სასპორტო ინფრასტრუქტურის განახლება.



კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები (პროგრამული კოდი 05 03)

კულტურული ღონისძიებების მართვა (პროგრამული კოდი 05 03 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 1 025,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 977,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,4%.

პროგრამის აღწერა:

უზრუნველყოფილი იქნა კულტურის ცენტრის გამართულად მუშაობასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელება, როგორცაა ოფისის ხარჯები, ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯები, კომუნალური გადასახადები, ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება და სხვა, ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელების ხელშეწყობა, მისი კონტროლი.

კულტურის ცენტრის ადმინისტრაციული ცენტრის შენობაში „საზაფხულო თეატრში“ სახანძრო უსაფრთხოების მიზნით გატარდა რიგი ღონისძიებები, კერძოდ: შესყიდული იქნა ფოსფორის მაჩვენებლები, ოფისისთვის შეძენილი იქნა ასევე კომპიუტერული ტექნიკა და მრავალფუნქციური პრინტერი, სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი და აქსესუარები.

მომზადდა საზაფხულო თეატრის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

კახაბრის კლუბში სამუშაო ოთახში მეტალოპლასტმასის კარფანჯარა გამოიცვალა.

➤ მიღწეული შედეგები:

ჩატარებულია ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ წლის განმავლობაში დაგეგმილი კულტურული ღონისძიებები.

ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა 852,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 808,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,8%.

პროგრამის აღწერა:

3 მარტი – დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

23 მარტი – 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღის აღნიშვნა ბათუმის განთავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად ბათუმის დრამატული თეატრის მიმდებარე მოედანზე ტრადიციულად შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. "კულტურის ცენტრის" შემოქმედებითა კოლექტივმა - სასულე ორკესტრმა შეასრულა მარშები. მემორიალი შემკობილი იქნა გვირგვინითა და ყვავილებით.

9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, საქალაქო თანხმობისა და



სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღის აღნიშვნის მიზნით, მოხდა მემორიალის შემკობა ყვავილებით. ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო ცენტრის ვაჟთა ხალხური სიმღერის ვოკალური ანსამბლმა.

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება – ორგანიზებული იქნა ვეტერანების და სტუმრების შეკრება გმირთა ხეივანში, მოხდა მემორიალის შემკობა ყვავილებით სასულე ორკესტრის მუსიკის თანხლებით, ღონისძიება სადღესასწაულო ბანკეტით დასრულდა.

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების მიზნით ქალაქი მორთული იყო საქართველოს დროშებით, ანბანის კოშკთან გაიმართა კონცერტი ბათუმელი მომღერლების შესრულებით.

1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საზეიმოდ მოირთო 6 მაისის პარკი ფერადი ლენტებით, ბურთებით, სხვადასხვა დეკორაციებით. პარკში დამონტაჟდა სცენა, თუმცა უამინდობის გამო დაგეგმილი ღონისძიებები საზაფხულო თეატრში გადმოვიდა. ჩატარდა საბავშვო კონცერტები ქალაქში მოქმედი სხვადასხვა ანსამბლის მონაწილეობით, ბავშვებს განწყობას უქმნიდა სხვადასხვა ზღაპრის გმირები, გაშვებული იქნა ჰელიუმის ბუმბუტები და მოეწყო უფასო ნაყინის, პოპკორნის და ბამბის ნაყინის აქცია.

ბათუმობა 2018 - 1 სექტემბერს, ძველ ბათუმში გაცოცხლდა მე-19 საუკუნის ქალაქი. ბათუმობისთვის ქუჩები სპეციალურად მოირთო 1900 იანი წლების ეპოქის სტილისტიკით – აბრები, აფიშები, ბილბორდები. 14:00-დან 19:00 საათამდე ზვიად გამსახურდიას, ფარნავაზ მეფის, ვახტანგ გორგასლის, ხულოსა და მაზნიაშვილის ქუჩებზე გაიმართა გრანდიოზული სპექტაკლები. მოეწყო პერმანენტული და მინი სცენები, სადაც გაცოცხლდა ბუკინისტური მაღაზია, თევზის ბაზარი, ყავის წერტილები, თეატრალური წარმოდგენები, კოსტიუმირებული მსვლელობები, კონცერტები, ასევე გამოფენები, ბაზრობები და ა.შ. პიაცაზე ჩატარდა დასკვნითი გალაკონცერტი, რომელიც გრანდიოზული ფეირვერკით დაგვირგვინდა. ბათუმობის ფარგლებში ბათუმის საზაფხულო თეატრში ანსამბლ „ალილოს“ და „შიდკაცას“ კონცერტი გაიმართა.

საახალწლო ღონისძიებები დაიწყო 2018 წლის 25 დეკემბერს და 2019 წლის 2 იანვრის ჩათვლით გაგრძელდა. ყოველდღიურად ევროპის მოედანზე სპეციალურად მორთულ სცენაზე ტარდებოდა საბავშვო კონცერტები, ბათუმელი ბენდების მიერ შესრულებული კონცერტები, სხვადასხვა გასართობი შოუ პროგრამები. 2 იანვარს კი ნინო ქათამაძის კონცერტით დასრულდა. საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში, ბათუმის 21 უბანში (ახალი წელი შენს ეზოში) საახალწლოდ მორთულ დიდ სატვირთო მანქანაზე ბავშვებისათვის გასართობი პროგრამა ჩატარდა ანიმატორების მიერ. ბავშვებს დაურიგდებოდათ ბუმბუტები და ტკბილეული.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ჩატარებულია ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

'კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 63,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 53,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 84,1%.



პროგრამის აღწერა:

ებრაული დიასპორა - ებრაული დიასპორისთვის გამოყოფილი თანხიდან აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან და ახალ წელთან დაკავშირებით გამართული შეხვედრები, აღნიშნული ღონისძიებები საზეიმო ვითარებაში ჩატარდა, რომელსაც ესწრებოდნენ მთავრობის წარმომადგენლები და სტუმრები სხვადასხვა საკონსულოებიდან.

აზერბაიჯანული დიასპორა: 8 მარტი – ქართველთა და აზერბაიჯანელთა აჭარის საქველმოქმედო საზოგადოების მიერ ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო ვახშამი;

- 27 დეკემბერს საზეიმოდ აღინიშნა მსოფლიოს აზერბაიჯანელთა სოლიდარობის დღე.

- 9 მაისი - ქართველთა და აზერბაიჯანელთა აჭარის საქველმოქმედო საზოგადოების მიერ აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების დღე. მოეწყო საზეიმო სუფრა.

- 28 დეკემბერს აღინიშნა მსოფლიოს აზერბაიჯანელთა სოლიდარობის დღე.

- დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები საბავშვო გასართობი ღონისძიებების ორგანიზების კუთხით, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა პატარებისათვის გასართობ ცენტრ ბერიკებში. ბავშვებს გადაეცათა საახალწლო ტკბილეულის ნაკრები (საჩუქარი).

უკრაინული დიასპორა: 3-9 მარტი - უკრაინული დიასპორის მიერ მოეწყო დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც მეგობრობის სახლში ჩატარდა. ქალთა დღესთან დაკავშირებით დიასპორაში მოღვაწე ქალბატონებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. 9 მარტს კი ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე ტარას შევჩენკოს ძეგლთან მოეწყო ტარას შევჩენკოს დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

- უკრაინული დიასპორის მიერ აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით დიასპორის ხელმოკლე და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის შესყიდული იქნა სასურსათე პროდუქტების ნობათი.

- 15 ივლისი– უკრაინული დიასპორის მიერ მოეწყო უკრაინელი ობოლი ბავშვების სტუმრებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, შეხვედრა გაიმართა მეგობრობის სახლში, მოეწყო ნახატების გამოფენა, კონკურსები, ვიქტორინები. გამარჯვებულები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

- 17-20 ივლისი - უკრაინული დიასპორის აქტიური ბავშვებისათვის მოეწყო საექსკურსიო ტური, კერძოდ მოინახულეს მცხეთა, თბილისი, თელავი, სიღნაღი და საგარეჯოში არსებული კულტურულ ისტორიული ძეგლები.

- 24 აგვისტო – აღინიშნა უკრაინის დამოუკიდებლობის დღე. ღონისძიების ფარგლებში მოხდა ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე ტ. შევჩენკოს და ლ. უკრაინკას ძეგლის ყვავილებით შემკობა, ბავშვთა ხატვის კონკურსი ასფალტზე და სხვ. ღონისძიების დასკვნითი ნაწილი საზეიმო ბანკეტით დასრულდა.

- დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები – საბავშვო გასართობი ღონისძიებების ორგანიზების კუთხით, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა პატარებისათვის გასართობ ცენტრ ბერიკებში. ბავშვებს გადაეცათა საახალწლო ტკბილეულის ნაკრები (საჩუქარი).

რუსული დიასპორა: აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით რუსული დიასპორის მიერ დიასპორის ხელმოკლე და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის შესყიდული იქნა სასურსათე პროდუქტების ნობათი.



– 23 ივლისი– აჭარაში რუსულენოვანი ინტელიგენციის ასოციაცია „რასსვეტი“–ს მიერ მოეწყო საერთაშორისო „მრგვალი მაგიდის“ მოწვევა, მოწვეული იყვნენ სტუმრები ეკატერინბურგიდან და მოსკოვიდან. განხილული იქნა საქართველო-რუსეთის თანამშრომლობა ახალგაზრდული განზომილებით“, გაცვლითი პროგრამები, კულტურული კავშირები.

– დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები – საბავშვო გასართობი ღონისძიებების ორგანიზების კუთხით, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა პატარებისათვის გასართობ ცენტრ ბერიკებში. ბავშვებს გადაეცათა საახალწლო ტკბილეულის ნაკრები (საჩუქარი).

სომხური დიასპორა: 14 თებერვალს სომხურმა დიასპორამ აღნიშნა „სურბ სარქისის“ დღესასწაული. ღონისძიებისთვის სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულზე შესყიდული იქნა სუვენირები და საჩუქრები. აღნიშნული ღონისძიება რესტორან პორტო ფრანკოში ჩატარდა, რომელიც საზეიმო ვახშმით დასრულდა.

- 4 მარტს სომხურმა დიასპორამ აღნიშნა დედის დღე და აღნიშნულთან დაკავშირებით ქალბატონებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები, მოეწყო საზეიმო სუფრა.

- 28 მაისი - აღნიშნა სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლისთავი. ღონისძიება საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობდა და ბანკეტით დასრულდა რესტორან „ბელლა კოსტაში“.

- 2 ივნისი- აჭარის რუსულენოვანი ინტელიგენციის ასოციაცია „რასსვეტის“ მიერ მეგობრობის სახლში მოეწყო ასოციაციის 15 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო. მოწვეულმა სტუმრებმა წაიკითხა ლექსები, ღონისძიება საზეიმო სუფრით დასრულდა

- 25 დეკემბერს სომხურმა დიასპორამ აღნიშნა დიასპორის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. აღნიშნულზე მომზადებული იქნა მოკლე დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ასახული იყო დიასპორის მოღვაწეობა ქრონოლოგიის მიხედვით. მოწვეული იყო სომხეთის რესპუბლიკის კონსული და ასევე ქალაქის ინტელიგენცია. დიასპორის აქტივისტები დაჯილდოვდნენ სიგელებით, ღონისძიება საზეიმო ვახშმით დასრულდა.

იეზიტური დიასპორა: დეკემბერი – აჭარის იეზიტთა კავშირის მიერ რელიგიური დღესასწაულის „აიდია იეზიდია როჟი“ ჩატარების მიზნით, იეზიდური დიასპორის ოჯახებისათვის შესყიდული იქნა სურსათის პროდუქტები, რომლითაც ამზადებენ სპეციალურ სადღესასწაულო კერძებს და ურიგდებათ ხელმოკლე ოჯახებს.

– დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები საბავშვო გასართობი ღონისძიებების ორგანიზების კუთხით, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა პატარებისათვის გასართობ ცენტრ ბერიკებში. ბავშვებს გადაეცათა საახალწლო ტკბილეულის ნაკრები (საჩუქარი).

თურქული დიასპორა: 21 აგვისტო – თურქული დიასპორის მორწმუნეებისათვის 70 ოჯახზე ყურბან ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით შეძენილი იქნა სასურსათე ნობათი.

– დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები საბავშვო გასართობი ღონისძიებების ორგანიზების კუთხით, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა პატარებისათვის გასართობ ცენტრ ბერიკებში. ბავშვებს გადაეცათა საახალწლო ტკბილეულის ნაკრები (საჩუქარი).

ბერძნული დიასპორა: 24 მარტს ბათუმის ბერძენთა საქველმოქმედო ასოციაციის მიერ აღნიშნა საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღე. მოეწყო შესაბამისი თემატიკის კულტურული ღონისძიება, ღონისძიებასთან ერთად გაინმართა საზეიმო ვახშამი.



– 20 ოქტომბერი - ბათუმის ბერძენთა საქველმოქმედო ასოციაციის მიერ 30 კაციანი ჯგუფის შემადგენლობით მოეწყო და დაფინანსდა საექსკურსიო ტური (ვარძია, ხერთვისის ციხე, რაბათის ციხე, ბორჯომი);

28 ოქტომბერი - ბათუმის ბერძენთა საქველმოქმედო ასოციაციის მიერ აღინიშნა საბერძნეთის ეროვნული დღესასწაული „ოხი“.

– დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები – საბავშვო გასართობი ღონისძიებების ორგანიზების კუთხით, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა პატარებისათვის გასართობ ცენტრ ბერიკებში. ბავშვებს გადაეცათ საახალწლო ტკბილეულის ნაკრები (საჩუქარი).

გერმანული დიასპორა: თებერვლის თვეში დაიწყო გერმანული ენის შემსწავლელი კურსების ჩატარების გერმანელთა ასოციაციის წევრების მოთხოვნის საფუძველზე. აღნიშნულზე გაფორმებულია ხელშეკრულება პედაგოგთან და 15 თებერვლიდან 15 ივნისის ჩათვლით ტარდებოდა მეცადინეობები მეგობრობის სახლში.

– გერმანული დიასპორების მიერ მოხდა ასევე 8 მარტის დღესთან დაკავშირებით შეხვედრა ქალბატონებთან, ღონისძიებისათვის შეძენილი იქნა ფასიან საჩუქრები;

– აჭარის გერმანელთა ასოციაცია „აინუნგი“-ს მიერ დამზადდა თემატური სარეკლამო მასალა (ბლოკნოტები და საწერკალმები);

– დეკემბერი – აჭარის გერმანელთა ასოციაცია „აინუნგმა" მონიხულა ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი „ნემო“-ს აღსაზრდელები, რომელთაც გადაეცათ სხვადასხვა საჩუქრები და ტკბილეული;

– დაფინანსდა საახალწლო ღონისძიებები – საბავშვო გასართობი ღონისძიებების ორგანიზების კუთხით, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა პატარებისათვის გასართობ ცენტრ ბერიკებში. ბავშვებს გადაეცათ საახალწლო ტკბილეულის ნაკრები.

საქართველოს დამიუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მეგობრობის სახლში გაწევრიანებული 9 დიასპორის მიერ, ერთობლივად მოხდა საზეიმო შეკრება და დიასპორის აქტივისტების მიერ მოეწყო ამ დღესთან დაკავშირებული საღამო, ღონისძიებას ესწრებოდნენ აჭარის მთავრობის წარმომადგენლები.

– 28 დეკემბერი – აჭარაში მოქმედი 9 დიასპორის მიერ მოეწყო საახალწლო შეხვედრა, სადაც მოწვეული იქნა მთავრობის წარმომადგენლები და საპატიო სტუმრები. თითოეული დიასპორის მიერ წარმოდგენილი იქნა სპეციალური საკონცერტო ნომრები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

წახალისებულია კულტურული მრავალფეროვნება და ხელშეწყობილია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული აქტივობები.

საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 429,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 423,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ფესტივალები:



კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი - ფესტივალის ფარგლებში მოწვეული იყო 50-მდე ქართველი და უცხოელი კლასიკური მუსიკის შემსრულებელი, რომელთა მიერ შესრულდა ცნობილი და პოპულარული ნაწარმოებები.

მონოპიესების საერთაშორისო ფესტივალი - ფესტივალის ფარგლებში, საწყის ეტაპზე, შეირჩა დრამატურგები, რომლებმაც დაწერენ მონო-პიესები სპეციალურად მონო-ფესტივალისთვის. დრამატურგების მიერ დასახელდა რეჟისორები, რომლებმაც თავის მხრივ შეარჩიეს მსახიობები. ბათუმის სხვადასხვა ალტერნატიულ სივრცეში, თანმიმდევრულად ერთი კვირის განმავლობაში, გაიმართა სპექტაკლების ჩვენება.

ბათუმის კლასიკური მუსიკის ფესტივალი - Batumi MusicFest - ფესტივალის ფარგლებში, ბათუმს ესტუმრნენ მსოფლიოში ცნობილი ვარსკვლავები. კლასიკური მუსიკის ფესტივალის მთავარი აქცენტი იყო ნიჭიერი ქართველი პიანისტების აღმოჩენა და მათი ხელშეწყობა, რაც მას განსაკუთრებულ იდენტურობასა და მნიშვნელობას სძენს.

საავტორო კინოს ბათუმის XIII საერთაშორისო ფესტივალი - ჩატარდა მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსები; გაიმართა მასტერკლასები, ვორკშოპები და ფოტოგამოფენები.

2018 წელს მე-13 კინოფესტივალზე სხვადასხვა სექციებში წარმოდგენილი იქნა დაახლოებით 50 სრულმეტრაჟიანი და 80 მოკლემეტრაჟიანი ფილმი, მსოფლიოს 50 ქვეყნიდან.

ბათუმის ანიმაციური ფილმების X საერთაშორისო ფესტივალის არასაკონკურსო პროგრამის ორგანიზება.

ჩატარდა ახალგაზრდა ანიმატორების პროექტების პრეზენტაციები, მასტერკლასები - რომლებსაც ფესტივალზე სპეციალურად სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული პროფესიონალები მართავენ, თოქ-შოუ - რომლის ფარგლებშიც მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ კითხვა-პასუხის რეჟიმში მიეიღოთ სხვადასხვა ინფორმაცია წარმატებული კინოხელოვნებისგან და ა.შ. გაიმართა საქმიანი შეხვედრები - რომლის დროსაც ქართველი ანიმატორები, რეჟისორები და სცენარისტები ხვდებოდნენ ქართველ/უცხოელ პროდუსერებს და ანიმაციური სტუდიების წარმომადგენლებს.

ქ. ბათუმში გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი.

ფესტივალი 2018 წელს მესამეტედ ჩატარდა ჩვენს ქალაქში. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ასევე სამეცნიერო კონფერენცია. ფესტივალის მიზანია იყო ქართული ხალხურის სიმღერის და სასულიერო მუსიკის ტრადიციების შენარჩუნება, მასტერ-კლასების მეშვეობით რეპერტუარის გამდიდრება, უახლესი სამეცნიერო კვლევების გაცნობა, ქართველი მეცნიერების ინტეგრირება ფოლკლორის კვლევის საერთაშორისო პროგრამებში. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა კონცერტები, გამოიცა სამეცნიერო სტატიებისაგან შემდგარი კრებული. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულმა (ავთენტური) ანსამბლებმა და საეკლესიო გუნდებმა. ფოლკლორული და საეკლესიო მუსიკის საშემსრულებლო პრობლემებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღ ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ჩატარებულია საერთაშორისო ფესტივალები.

კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 150,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 144,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს დაფინანსდა შემდეგი ინიციატივები:

1. პროექტი „საქართველო შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“.
2. პროექტი „ბათუმობა 2018-ისადმი მიძღვნილი ვიდეო კლიპის გადაღება სიმღერაზე „ბათუმო ჩემო“.
3. პროექტი „უსინათლო და მცირემხედველ, მრავლობითი დარღვევის მქონე ბავშვებში შემოქმედებითი უნარების განვითარება“.
4. პროექტი „ქართული კინოს მუსიკალურ თეატრალური ინტერპრეტაცია“.
5. პროექტი „ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის სახელობის პოეზიის კონკურსი „ზღვაური“.
6. პროექტი „საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი „ოქროს დელფინი-ხელოვნება მსოფლიოს ირგვლივ-2018“.
7. პროექტი „ფოტოკონკურსი, ფოტო-გამოფენა სახელწოდებით: „ქალის თვალთ დანახული ჩვენ“ მესამე ეტაპი.
8. პროექტი „ბათუმი „აპოლო“.
9. პროექტი „უსინათლო და მცირემხედველი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თანაბარი ხელმისაწვდომობა მხატვრულ ლიტერატურაზე“.
10. პროექტი „ზაფხული მოდის“.
11. პროექტი „ქართული პოეზიის დღე“.
12. პროექტი „ბათუმი-კალიფორნია“.
13. პროექტი „საეკლესიო (სახალხო) დღესასწაული თამარობა“.
14. პროექტი „ცნობილი მსახიობის ზურაბ ყიფშიძის შემოქმედებითი საღამო“.
15. პროექტი - ხელოვნების სტუდია „ლიმპოპოს“ 25 წლისათვისადმი მიძღვნილი მუსიკალური სპექტაკლი „ფერადი ქალაქის მაძიებლები“.
16. პროექტი „პოეზია და ჩვენ“.
17. პროექტი - „ეროვნული უმცირესობების ფესტივალი“.
18. პროექტი - „ბათუმის კულტურა“.
19. პროექტი - „ქ. ბათუმში, კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის დაბადებიდან 80 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავთან დაკავშირებითი საიუბილეოს შეხვედრა-კონცერტი“.
20. პროექტი - „დიადი ჰიმნი-სონატა ბათუმს“ (ინსცენირება ლ.სეიდიშვილის ლექსებისა და ნახატების მიხედვით).
21. პროექტი - საერთაშორისო ფესტივალი „კერამიკის ალქიმი“.
22. პროექტი- ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმი 2018“.
23. პროექტი - „ბათუმის ქუჩები“.
24. პროექტი - ქართულ-აფხაზური საგას ფარგლებში - „ქართულ აფხაზური ოჯახების ზეიმი ბათუმში“.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია კულტურის და ხელოვნების სფეროში ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

ფოლკლორის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 747,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 709,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,9%.

პროგრამის აღწერა:



წლის განმავლობაში ქვეპროგრამაში გაერთიანებული შემოქმედებითი კოლექტივები აქტიურად არიან ჩართულები და მონაწილეობას ღებულობენ ქალაქში მიმდინარე სხვადასხვა ღონისძიებებში, ამ მიმართულებით ანსამბლებმა დაახლოებით 60-მდე ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა.

ანსამბლის წევრები უზრუნველყოფილი იქნენ სასცენო კოსტიუმებით და ასევე სარეპეტიციო ფეხსაცმელით, მუსიკოსებსათვის შესყიდული იქნა მუსიკალური ინსტრუმენტი: ბას-გიტარა, დოლი.

ა(ა)იპ „ქ. ბათუმის კულტურის ცენტრთან“ არსებული ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი მიწვეული იყო სიცილიაში ქ. აგრიჯენტოს ნუშის 73-ე საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალ-კონკურსში, სადაც ანსამბლმა გრანპრი მოიპოვა.

ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმი“-ს გასტროლი უკრაინაში, ღონისძიებები 8 სხვადასხვა ქალაქში გაიმართა.

მოეწყო ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის გასტროლი ისრაელში.

საქართველოში ჩატარებული 30 კონცერტი:

2 თებერვალი ქორეოგრაფიული ანსამბლის კონცერტი ნუგზარ შალიკაშვილის საიუბილეო საღამოზე მუსიკალური ცენტრი

15 თებერვალი ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი ავღანეთში დაღუპულ მემორიალის დადგმის ცერემონიაზე იუსტიციის სახლთან

17 თებერვალი ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი ეგნატე ნინოშვილის ბიუსტის გახსნის ცერემონიაზე საზღვაო აკადემიის წინ

7 მარტი ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის აღსანიშნავად ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

2 აპრილი ქორეოგრაფიული და ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი ებრაელი ტურისტებისათვის - მუსიკალური ცენტრი

9 აპრილი ვაჟთა ხალხური სიმღერის ვოკალური ანსამბლის გამოსვლა 9 აპრილის მემორიალთან ზღვისპირა პარკში

14 აპრილი ვაჟთა ხალხური სიმღერის ვოკალური ანსამბლის გამოსვლა იასონ გორდეზიანის ძეგლის გახსნის ცერემონიაზე ზღვისპირა ბულვარის კოლონადებთან

3 მაისი - ვაჟთა ხალხური სიმღერის ანსამბლის კონცერტი ებრაული დელეგაციის წევრებისათვის - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

13 მაისი - ქორეოგრაფიული ანსამბლის კონცერტი რეზო სურმანიძის შემოქმედებით საღამოზე.

ვოკალური ანსამბლის მონაწილეობა თამარობის დღესასწაულზე მიძღვნილ ღონისძიებაში მუსიკალურ ცენტრში.

17 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის კვირეულის ფარგლებში ვაჟთა ხალხური სიმღერის ანსამბლის კონცერტი - მემედ აბაშიძის პროსპექტი/საჯარო ბიბლიოთეკის მიმდებარე სივრცე/

25 მაისი ვოკალური ანსამბლის კონცერტი მეგობრობის სახლის დაარსების 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტები, ფლეშ-მობი, გასართობი ატრაქციონები და სხვ.

7 ივნისი - ქართული ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი ნანა ახალაძის წიგნის “არ დაიკარგვის ამავის“ მესამე ნაწილის პრეზენტაციაზე - მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე



28 ივნისი – ქორეოგრაფიული და ვაჟთა ხალხური სიმღერის ანსამბლების კონცერტი საქართველოს რესპირაციული ასოციაციის მე-6-ე საერთაშორისო სამედიცინო კონგრესის მონაწილეთათვის - მუსიკალური ცენტრი

8 აგვისტო - ვაჟთა ხალხური სიმღერის ვოკალური ანსამბლის მონაწილეობა აგვისტოს ომის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ მემორიალურ ღონისძიებაში

11 აგვისტო ვაჟთა ხალხური სიმღერის ვოკალური ანსამბლის მონაწილეობა შინდისის გმირების ხსოვნის აღსანიშნავ მემორიალურ ღონისძიებაში

18 აგვისტო ქორეოგრაფიული ანსამბლის კონცერტი უცხოელი ტურისტებისათვის სასტუმრო შერატონში

30 აგვისტო – ვოკალური ანსამბლის კონცერტი ბათუმის 130 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე საჯარო ბიბლიოთეკაში

მონაწილეობა მიიღეს ასევე 26 მაისისადმი ბათუმობისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

30 სექტემბერი – ქორეოგრაფიული ანსამბლის კონცერტი ინტელიგენციის კლუბის დაარსების 50-ე საიუბილეო საღამოზე

7 ოქტომბერი – ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი სოფლის მეურნეობის ფესტივალის ‘განდაგანას“ ფარგლებში

11 ოქტომბერი ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი სასტუმრო ეუფორიაში

3 ნოემბერი – ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი ბათუმის ბოტანიკური ბაღის იუბილესთან დაკავშირებით

9 დეკემბერი – პირველი საერთაშორისო სამედიცინო ტურიზმის კონფერენციის მონაწილეთათვის ვაჟთა ვოკალური ანსამბლის კონცერტი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაზრდილია ქართული ხალხური ფოლკლორული ანსამბლების ცნობადობა.

თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 204,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 201,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,4%.

პროგრამის აღწერა:

19-23 ივნისს ჯაზ ბიგ ბენდმა მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში გერმანიის რესპუბლიკის ქალაქ ბერლინსა და პოსტდამში.

ჯაზ-ბიგ ბენდისთვის შესყიდული იქნა სასცენო კოსტიუმები, ასევე სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი და აქსესუარები.

წლის განმავლობაში საქართველოში ჩატარდა 10-ზე მეტი ღონისძიება, მათ შორის:

15 ივნისი ჯაზ ბიგ ბენდის კონცერტი საერთაშორისო ფორუმის მონაწილეთათვის – სასტუმრო შერატონი;

16 ივნისი - ჯაზ ბიგ ბენდმა მიიღო მონაწილეობა ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნასთან დაკავშირებით – პიაცა;

25 ივნისი ჯაზ ბიგ ბენდის კონცერტი მეზღვაურთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით;

23 დეკემბერი – ჯაზ ბიგ ბენდმა და სიმებიანმაკვარტეტმა მონაწილეობა მიიღო წლის ნომინაციების მინიჭების ცერემონიაზე სასტუმრო შერატონში;



5 ოქტომბერი- ჯაზ ბიგ ბენდმა მიიღო მონაწილეობა ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატის დახურვის ცერემონიაში;

22 სექტემბერი – ჯეო პლანეტის კონცერტი ანბანის კომპთან;

23 სექტემბერი – ჯაზ ბიგ ბენდის კონცერტი საერთაშორისო კინოფესტივალის ბიაფის დახურვის ცერემონიალთან დაკავშირებით (მუსიკალური ცენტრი);

5 ოქტომბერი- ჯაზ ბიგ ბენდმა მიიღო მონაწილეობა ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატის დახურვის ცერემონიაში;

23 დეკემბერი ჯაზ ბიგ-ბენდმა მონაწილეობა მიიღო წლის ნომინაციების მინიჭების ცერემონიაზე სასტუმრო შერატონში;

ჯაზ ბიგ-ბენდმა მონაწილეობა მიიღო „ბათუმობისადმი“ მიძღვნილ ღონისძიებებში და ასევე ქალაქის საახალწლო ღონისძიებებში 2018 წლის 31 დეკემბერს;

19-23 ივნისს ჯაზ ბიგ ბენდმა მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში. გერმანიის რესპუბლიკის ქალაქ ბერლინსა და პოსტდამში;

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაზრდილია ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული თანამედროვე მუსიკის შემსრულებელი ანსამბლების ცნობადობა.

კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა 382,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 375,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98,1%.

პროგრამის აღწერა:

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, 25-28 აპრილს ბათუმის კულტურის ცენტრის ქალთა კამერულმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალში. მასში მონაწილეობას ღებულობენ ქართული და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კამერული გუნდები. ფესტივალმა უკვე მოიპოვა საერთაშორისო აღიარება და მასში მონაწილეობა დიდი დამსახურებაა.

ბათუმის კულტურის ცენტრის ქალთა კამერული გუნდი მიმდინარე წლის 30 ივნისიდან 9 ივლისის ჩათლით ქ. რიგაში (ლატვია) „XXVI latvian song and the XVI dance 2018“ საერთაშორისო საგუნდო მუსიკის ფესტივალზე იმყოფებოდა. 2018 წელს ფესტივალს საიუბილეო თარიღი ჰქონდა და მას 100 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ფესტივალზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან 40 000-მდე პროფესიონალი საგუნდო მუსიკის კოლექტივი მონაწილეობდა. აღნიშნულ ფესტივალზე, ქალთა კამერული გუნდი ერთხელ უკვე იმყოფებოდა 2012 წელს და სწორედ ეს გასტორლი და ფესტივალში მონაწილეობა გახდა საწინდარი შემდგომი მჭიდრო თანამშრომლობისა და ამჯერადაც სტუმრობის მიზეზი.

გასტროლის მსვლელობისას, ლატვიის დედაქალაქში გაიმართა ოთხი კონცერტი, მათ შორის ორი საკონკურსო და ორი სოლო, ასევე კამერულმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო საზეიმო მსვლელობაში და არასაკონცერტო დღეს შედგა შეხვედრა, ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფთან, ასევე ქართულ სათვისტომოსა და საელჩოს წარმომადგენლებთან.

კამერული გუნდისთვის შესყიდული იქნა კლასიკური სასცენო კოსტიუმები.



წლის განმავლობაში შემოქმედებითმა კოლექტივებმა მიიღეს დაახლოებით 30-მდე კონცერტსა და ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა, კერძოდ:

25-28 აპრილი ბათუმის კულტურის ცენტრის ქალთა კამერული გუნდმა მონაწილეობა მიიღო თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალში სადაც გაიმართა 2 სოლო კონცერტი და მიიღეს ასევე მონაწილეობა გალა კონცერტში

3 მაისს ქალთა კამერული გუნდის კონცერტი ლუკა ასათიანის სტიპენდიანტებთან გამართულ ღონისძიებაზე - ბათუმი, ლუკა ასათიანის ბიუსტთან

4 მაისს ქალთა კამერული გუნდისა და ტალინის /ესტონეთი/ წმ. კაარლის ეკლესიის კამერული გუნდის „კანორუსი-ს“ კონცერტი - საზაფხულო თეატრის ფოიე

14 მაისს ქალთა კამერული გუნდმა მიიღო მონაწილეობა თამარობის სახალხო დღესასწაულზე ბათუმის მუსიკალურ ცენტრში

21 ივლისი ქალთა კამერული გუნდის კონცერტი ბიზნესფორუმის მონაწილეთათვის/შვეიცარიის ეგიდით

გუნდმა მონაწილეობა მიიღო „ბათუმობისადმი“ მიძღვნილ ღონისძიებებში და ასევე ქალაქის სახალწლო ღონისძიებებში 2018 წლის 31 დეკემბერს.

23 მარტი – სასულე ორკესტრის სამგლოვიარო მარშები იუნკერთა ხსოვნის აღსანიშნავად – დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორია;

9 მაისი - სასულე ორკესტრის მარშები ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად, დიდების ხეივანში

17 მარტი სასულე ორკესტრის კონცერტი აშშ-ის საზღვაო ქვეითი ძალების გემის „OAK HILL“ დახვედრის ცერემონიაზე – ბათუმის პორტში.

13 მაისი სასულე ორკესტრის კონცერტი მსოფლიო 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის სამზადისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე „პირველი სვლა ბათუმში“ ევროპის მოედანი

14 მაისი სასულე ორკესტრის კონცერტი ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის თამაზ ცერიაშვილის საიუბილეო საღამოზე - ხელოვნების უნივერსიტეტი.

17 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის კვირეულის ფარგლებში სასულე ორკესტრის კონცერტი - მემედ აბაშიძის პროსპექტი/საჯარო ბიბლიოთეკის მიმდებარე სივრცე.

25 ივნისი სასულე ორკესტრისა კონცერტები მეზღვაურთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

30 ივნისი – სიმებიანი კვარტეტის კონცერტი მედიკოსთა მსოფლიო კონგრესის მონაწილეთათვის - სასტუმრო შერატონი

2 ივლისი – სასულე ორკესტრის გამოსვლები ცეკვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე საზაფხულო თეატრში

20 ივლისი სასულე ორკესტრის მარშები ფორუმის „სკაუტარიუმი აღმოვაჩინოთ ერთად“ მონაწილეთათვის – ზღვისპირა პარკში

20,21,22 აგვისტო – სასულე ორკესტრის კონცერტები დამსვენებლებისათვის ბულვარში (კოლონადები)

23 აგვისტო - სასულე ორკესტრის კონცერტი უცხოეთისგემების /იტალია, ამერიკა/ევიპაჟის ჩამოსვლასთან დაკავშირებით - ბათუმის პორტი

15 სექტემბერი – სიმებიანი კვარტეტის კონცერტი ამერიკული სკოლის გახსნის ცერემონიაზე

17 ოქტომბერი – სიმებიანი კვარტეტი მონაწილეობდა ქობულეთში, დასვენების პარკში, ქანდაკების საერთაშორისო პლენერის გახსნაზე;



25 ოქტომბერი სიმებიანი კვარტეტმა მონაწილეობა მიიღო ქართულ-ლიეტუნი მეგობრობის საღამოზე მუსიკალურ ცენტრში;

2 ნოემბერი – ნატოს ხომალდების ჩამოსვლასთან დაკავშირებით ბათუმის საზღვაო პორტში შესრულდა სასულე ორკესტრის მარშები;

19 დეკემბერი – სიმებიანი კვარტეტის კონცერტი ბათუმის ხელოვნების მუზეუმის დაარსების 20 წლისთავის იუბილეზე (ხელოვნების მუზეუმი);

23 დეკემბერი სიმებიანმა კვარტეტმა მონაწილეობა მიიღო წლის ნომინაციების მინიჭების ცერემონიაზე სასტუმრო შერატონში;

ლატვიაში გასტროლის მსვლელობისას ლატვიის დედაქალაქში გაიმართა 5 კონცერტი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გაზრდილია ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული კლასიკური მუსიკის შემსრულებელი ანსამბლების ცნობადობა.

ხელოვანთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 65,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 38,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 59,9%. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევა ხორციელდებოდა კომისიური წესით. საანაგარიშო პერიოდში ხელშეწყობის მოთხოვნით კონკურსში გამარჯვებული პროექტების მიხედვით განხორციელდა დაფინანსება, რამაც განაპირობა ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი

➤ **პროგრამის აღწერა:**

1. „საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილე პირთა დაფინანსება“ - საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 17 ბენეფიციარი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნებში დაგეგმილ საერთაშორისო პლენერში.

2. „გამოფენებისა და გასტროლების დაფინანსება“- გამოფენებისა და გასტროლების დაფინანსების“ ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2 კონკურსანტი: აა(ა)იპ „ცხოველთა სამყარო“ - პროექტი „გრაჩ სეჩენიანის გამოფენა ქ. ახალციხეში“ და ინდ. მეწარმე კახაბერ ფირცხალაიშვილი პროექტი - „აჭარის საბავშვო ხელოვნების მარათონი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში“.

3. „წლის ხელოვანი“ - მიმდინარე წელს კულტურის დარგში დაჯილდოვდნენ ხელოვანები რომლებმაც მიაღწიეს მნიშვნელოვან - თვალსაჩინო, განსაკუთრებულ და გამორჩეულ პროფესიულ წარმატებებს ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის თუ მის ფარგლებს გარეთ და პირადი წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის განვითარებაში და პოპულარიზაციაში, წარმოჩენაში, აღიარებაში. ჩატარდა საზეიმო ღონისძიება, სადაც გაიმართა დაჯილდოების ცერემონია. კერძოდ კი დაჯილდოვდნენ: ნომინაცია „რჩეული ხელოვანი“ - ზაზა ხალვაში, ნომინაცია „წლის ხელოვანი“ - ტიტე კომახიძე, როინ აბუსელიძე, ირაკლი კახიძე, ირაკლი კახიძე, მაია ცეცხლაძე, ნომინაცია „წლის დებიუტანტი“ - თემურ ბაკურიძე, ნომინაციაზე „დიდასკალოსი“ - ნინო საკანდელიძე, მანუჩარ შერვაშიძე, ნოდარი შავაძე, ინგა ბოცვაძე, ვახტანგ გორდაძე;

➤ **მიღწეული შედეგები:**



უზრუნველყოფილია ქ. ბათუმში მოღვაწე ხელოვანების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებში.

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 04 05)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 872,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 821,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,2%.

➤ პროგრამის აღწერა:

'მუნიციპალური ბიბლიოთეკების მართვა-აღმინისტრირება - საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზება - საბიბლიოთეკო ფონდი გაიზარდა 9022 ერთეულით; აღირიცხა, დამუშავდა და ფორმატების მიხედვით ახალ საინვენტარო წიგნში გატარდა ახალმიღებული და არსებული 6287 ცალი წიგნი და მათზე დაიწერა 47903 ცალი საკატალოგო ბარათი; მომზადდა 14 თემატური, 6 პერსონალური და 159 საორიენტაციო ანოტირებული ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, 19 სარეკომენდაციო საძიებელი, 3 ახალმიღებული წიგნების საინფორმაციო ბიულეტენი, მწერლების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით 4 მოკლე სარეკომენდაციო საძიებელი, გაიხსნა ახალი რუბრიკები, რედაქტირება გაუკეთდა და ახალი მასალებით შეივსო თემატური, პერსონალური, ჟურნალ-გაზეთების სტატიებისა და სამხარეთმცოდნეო კარტოთეკები, დაიწერა 13295 ბარათი და გაცა 2304 ზეპირი ბიბლიოგრაფიული ცნობა; მომზადდა და მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში განთავსდა ბიბლიოთეკაში დაცული აჭარაში გამოცემული გაზეთების 18029 სტატიის ანალიტიკური აღწერილობა; შეიქმნა ბიბლიოთეკაში დაცული ქართული და უცხოური წიგნების 2758 ელექტრონული კატალოგი, ქართული გაზეთების 80485 ელექტრონული კატალოგი, უცხოური კომპაქტ-დისკის 34 ელექტრონული კატალოგი; გაციფრდა და ინტერნეტში აიტვირთა 32 წიგნი და 536 ძველი ფოტო; მოეწყო 83 თემატური და კალენდარული გამოფენა და განახლდა 8 მუდმივმოქმედი გამოფენა. ბიბლიოთეკაში გაწვევრიანდა (ჩაეწერა) 7392 მკითხველი, დამსწრეთა რაოდენობამ შეადგინა 175304 მკითხველი და მათზე გაცემულია ბეჭდური გამოცემების 429891 ერთეული, „ამერიკული კუთხე“-ს და „კომპიუტერული ცენტრი“-ს 1362 მომხმარებელმა 17965-ჯერ ისარგებლა კომპიუტერით (ინტერნეტით) და 9273-ჯერ აუდიო-ვიდეო მასალით; მეთოდურ პრაქტიკული დახმარება გაეწიათ აჭარის მუნიციპალიტეტების და ბათუმის სამედიცინო აკადემიის ბიბლიოთეკარებს; უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკაში არსებული ტექნიკური და კომპიუტერული მოწყობილობების, კომპიურეტული ქსელის და ქსელური აპარატურების ფუნქციონირება; ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო ფონდების, კატალოგების, კარტოთეკების, ელექტრონული რესურსების, ტექნიკური საშუალებების და ინტერნეტის საყოველთაო ხელმისაწვდომობა; საქართველოს და საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონული ხელმისაწვდომობა; ბიბლიოთეკის ვებ-საიტზე და ოფიციალურ ფეისბუკზე აიტვირთა ახალი ინფორმაციები; ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია სხვადასხვა სახის საბიბლიოთეკო პროდუქციით, ანტივირუსული და სხვა პროგრამებით, კომპიუტერული მოწყობილობების მარაგებით, ინტერნეტით, სახანძრო უსაფრთხოების მოწყობილობებით და სამეთვალყურეო კამერებით, ჰიგიენური, საკანცელარიო და სამეურნეო საქონლით; საბიბლიოთეკო საქმიანობის



წარმოებდა საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად. კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებები კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების ორგანიზება ჩატარდა 77 ღონისძიება.

ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე ბიბლიოთეკის სახურავის, სახანძრო კიბის, სახანძრო სიგნალიზაციის და პანდუსის მოწყობა

• ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების შენობაში (ჯავახიშვილის ქ #72) დასრულდა სარემონტო სამუშაოები (მთლიანად შეიცვალა შენობის სახურავი, მოეწყო მეორე სართულიდან საევაკუაციო გასასვლელი და კიბე, ავტომატური სახანძრო სიგნალიზაცია და პანდუსი).

კონსოლიდირებული ტენდერით შეძენილია 6 ცალი პერსონალური კომპიუტერი 7134 ლარის ღირებულებით. ელექტრონული ტენდერით შეძენილია 2543 ერთეული წიგნი 40 000 ლარის ღირებულების და 5098 ერთეული ჟურნალ-გაზეთი 9125,40 ლარის ღირებულებით. შეძენილია 1 ცალი კედლის კონდენციონერი 829,99 ლარის ღირებულებით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება, გაზრდილია ბეჭდვითი და ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდი, ჩატარებულია კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება (პროგრამული კოდი 05 06)

01) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 05 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 120,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 113,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ზუბალაშვილის ქ. N38-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაცია - განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: ფრაგმენტული დაზიანებული კედლის ნაწილების გადაწყობა 40% ახალი მასალის დამატებით-6,5 კვ.მ.; კედლების აღდგენა აგურის წყობით-4,8 კვ.მ.; სხვენის კედლების აღდგენა საკედლე ბლოკით-2,6 კვ.მ.; გადახურვის კონსტრუქციის შეფიცვრა-340კვ.მ.; ორი ფენა თერმოიზოლაციის მოწყობა-340 კვ.მ..

➤ **მიღწეული შედეგები:**

რეაბილიტირებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (პროგრამული კოდი 05 05 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**



დაზუსტებული გეგმა - 20.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 20,0 ათასი ლარით, პროცენტული შესრულება - 100,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დამცავი ზონების დამტკიცებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები (შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება).

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის დაფინანსება.

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 06)

ახალგაზრდული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 06 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 95,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 69,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 72,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

2018 წელს ეტაპობრივად ხორციელდებოდა ახალგაზრდული ცენტრის ქვეპროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი შენობის დალაგება-დასუფთავება, შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური ნივთებით მომარაგება; ლიფტის ყოველთვიური მოვლა-პატრონობა; ინტრენეტის, შუქისა და წყალის უწყვეტ რეჟიმში მიწოდებისათვის აუცილებელი პროცედურული საკითხების ორგანიზება.

2018 წელს ახალგაზრდული ცენტრის სივრცის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვის ღონისძიებათა ფარგლებში შეძენილ იქნა პროექტორის საკიდი მოწყობილობა, დინამიკები, მიკროფონები, სკამები და წიგნები.

2018 წელს შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზების ღონისძიებათა ფარგლებში ჩატარდა:

- ტრენინგი თემაზე: „საჯარო გამოსვლის ხელოვნება და ეფექტური კომუნიკაცია“, ტრენერი: მარიამ გოგიაშვილი;
- ტრენინგი თემაზე: „პროექტების წერა და მართვა“, ტრენერი: მარეხ ყურმაშვილი;
- ტრენინგი თემაზე: „ლიდერობა, მართვა, გუნდურობა“, ტრენერი სალომე ზირაქაძე;
- ტრენინგი თემაზე: „ნარკოტიკების ავადმობხმარების პრევენცია ახალგაზრდებში“ ტრენერები: თამაზ ურთმელიძე, მირანდა გურგენიძე;
- ტრენინგი თემაზე: „წარმატების ფორმულა და მოტივაციის ამაღლება“ ტრენერი დავით კენჭაძე;
- ტრენინგი თემაზე: „ადამიანის აზროვნების განვითარების დონეები და ეტაპები“, ტრენერი: სალომე ზირაქაძე;
- საჯარო ლექცია თემაზე: „ლიტერატურის დანიშნულება“, მოდერატორი: ლევან ბერძენიშვილი;
- ტრენინგი თემაზე: „რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები, ჯანსაღი ცხოვრების წესი“, ასოციაცია „ჰერა XXI“;



- დისკუსია თემაზე: „უსაფრთხო სივრცე ახალგაზრდებისთვის“, მოდერატორი დავით ჯინჭარაძე, სტუდენტი; - საჯარო ლექცია თემაზე: „სიყვარულის ჰერმენევტიკა გერმანულ რომანტიზმში“, მოდერატორი კონსტანტინე ბრეგაძე;
- საჯარო ლექცია თემაზე: „კრეატიულობა, როგორც ცოდნით თამაში“, მოდერატორი: ანდრო დგებუაძე;
- ტრენინგი თემაზე: „განათლების უფლება“, ტრენერი: ნიკოლოზ მეგრელიშვილი;
- საჯარო განხილვა თემაზე: „პატარა ქვეყნის ისტორია, როგორც რომანი“, მოდერატორი: ლაშა ბულაძე;
- მასტერკლასი თემაზე: „თეატრი და სასცენო ხელოვნება“, მოდერატორი: თამარ მაყაშვილი;

ლონისძიების „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში . ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 2 მარტის N946 ბრძანებით განისაზღვრა „ახალგაზრდული ინიციატივების პროექტების“ შეფასების კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც 2018 წლის მანძილზე სულ შეირჩა და დაფინანსდა 10 საუკეთესო ახალგაზრდული ინიციატივა, ესენია:

1. პროექტი - „ახალგაზრდა ხელოვანი“;
პროექტის ავტორი: ქეთევან სიხარულიძე.
განხორცილების პერიოდი: 10 მაისიდან 20 ივნისის ჩათვლით;
2. პროექტი - „Cinema Paradiso“.
პროექტის ავტორი: ქეთევან გორდელაძე.
განხორცილების პერიოდი: 1 ივლისიდან 8 აგვისტოს ჩათვლით;
3. პროექტი - „ლიტერატურული ბანაკი“;
პროექტის ავტორი: ენვერ კუჭერაძე.
განხორცილების პერიოდი: -25 აგვისტოდან 28 აგვისტოს ჩათვლით;
4. პროექტი - „ქუჩის კალათბურთი“;
პროექტის ავტორი: ნიკოლოზ კიკვაძე.
განხორცილების პერიოდი: 1 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით;
5. პროექტი - „ხელით შექმნილი სამყარო“
პროექტის ავტორი ნანა ქათამაძე.
განხორცილების პერიოდი - 1 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით;
6. პროექტი - „კინო განათლების კვირეული ახალგაზრდა აუდიტორიის განვითარებისათვის“.
პროექტის ავტორი: ნიკა კახაძე.
განხორცილების პერიოდი: 2 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით;
7. პროექტი - „ჩემი ხმა ევროპას“
პროექტის ავტორი: თამარ ნინიძე.
განხორცილების პერიოდი: 7 მაისიდან 19 მაისის ჩათვლით.
8. პროექტი - „ძალადობა და ახალგაზრდები“, პროექტის ავტორი: გიორგი ორაგველიძე.
განხორცილების პერიოდი: 1 მაისიდან 1 ივნისამდე;
9. პროექტი - „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“, პროექტის ავტორი: იოსებ ყაზაიშვილი.
განხორცილების პერიოდი: 7 - 17 ივნისი;
10. პროექტი - „ახალგაზრდა სპიკერთა პლათფორმა“ პროექტის ავტორი: ზალინა გორგილაძე. განხორცილების პერიოდი: 15-17 მაისი.



ლონისძიების „წლის წარმატებული ახალგაზრდები“ ფარგლებში, ახალგაზრდული ცენტრის ქვეპროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილ სივრცეში, სადაც წლის მანძილზე, ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობისთვის არაერთი ღონისძიება მოეწყო, 2018 წლის 25 დეკემბერს ჩატარდა წლის შემაჯამებელი შეხვედრა წარმატებულ ახალგაზრდებთან, სადაც ქვეპროგრამის კოორდინატორმა და ახალგაზრდებმა ერთად შეაჯამეს ახალგაზრდულ ცენტრში სხვადასხვა სახისა და ხასიათის აქტივობების განხორციელების შედეგად მიღწეული შედეგები. ქვეპროგრამის კოორდინატორის წარდგინებით კი გამოვლინდა წარმატებული და აქტიური ახალგაზრდები, რომლებიც დაჯილდოვდნენ 100 ლარიანი წიგნის სასაჩუქრე ვაუჩერით.

➤ მიღწეული შედეგები:

შექმნილია ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული სივრცე, განხორციელებულია ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტები.

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 06 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 53,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 51,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 96,4%.

➤ პროგრამის აღწერა:

„ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა“ ფარგლებში;

1. გაიმართა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, პროექტში მონაწილეობდნენ მოსწავლეები, სტუდენტები და ახალგაზრდები.

თამაშები განხორციელდება სამ ეტაპად:

- ა) მოსწავლეთა ლიგის თამაშები;
- ბ) სტუდენტთა ლიგის თამაშები;
- გ) ბათუმის ღია ჩემპიონატის თამაშები;

თამაშები ჩატარდა „MAK“-ის საერთაშორისო წესების დაცვით, jeopardy-ის ჯგუფური ტურნირი, „პლეი-ოფისა“ და „ბრენ-რინგი“-ს სისტემით. თითოეულ ეტაპზე გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებიც დაჯილდოვდნენ წიგნებით, თასებითა და სხვადასხვა საჩუქრებით.

2. ჩატარდა ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“ (I ეტაპი) - გასვლითი არასატელევიზიო ფორმატის ინტელექტუალურ კონკურსი, სადაც მონაწილეობა მიიღეს ქ. ბათუმის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მე-2 და მე-3 საფეხურის სულ 88 მოსწავლემ, რომელთა შორის გამარჯვება და "ქალაქ ბათუმის ეტალონი მოსწავლის" ტიტული მოიპოვა ქ. ბათუმის მე-9 საჯარო სკოლის მოსწავლემ სანდრო მამულაძემ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისში გამართულ მედიაპროექტ „ეტალონის“ ფინალში.

3. 2018 წლის 11-დან 18 ივლისის ჩათვლით ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მოეწყო აჭარის სკაუტების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ბანაკი - „სკაუტარიუმი“. მასში მონაწილეობა მიიღო 300 ახალგაზრდამ, მათ შორის იყვნენ სკაუტები საქართველოდან და სხვადასხვა ქვეყნებიდან. ბანაკის განმავლობაში მონაწილეები ცხოვრობდნენ კარვებში, ბანაკში ჩატარდა 10 - მდე გუნდური თამაში, 15-



დე სკაუტური თამაში, რომლის დახმარებით მონაწილეებმა გაიუმჯობესეს კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. ერთი დღე გამოყოფილი იყო აჭარისა და ბათუმის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებისთვის. ბანაკში ერთი საღამო მიეძღვნა ქართულ კულტურასა და ტრადიციებს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

უზრუნველყოფილია ახალგაზრდების ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტებში მონაწილეობა.

პრიორიტეტი: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 685,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 589,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში 2018 წლის განმავლობაში 4637 ბენეფიციარი იქნა უზრუნველყოფილი მედიკამენტებით. გარდა ამისა, მატერიალური დახმარება გაეწიათ ფენილკეტონურიით დაავადებულ 16 პირს საკვები დანამატების შეძენის მიზნით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

გასული წლის განმავლობაში მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით უზრუნველყოფილი იყო 4653 ბენეფიციარი.

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია (პროგრამული კოდი 06 01 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 6,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 28,0%. ქვეპროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი გამოიწვიაროგორც მიმწოდებელი კომპანის მიერ შეფერხებით მომსახურების მიწოდება (რაც შემდგომში გაფრთხილებისას გამოსწორებულ იქნა) და ასევე ბენეფიციართა დაბალმა ჩართულობამ, რის გამოც სრულად ვერ იქნა ათვისებული ღონისძიებით გათვალისწინებული ასიგნება.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 14 ქალს ჩაუტარდა გინეკოლოგთან კონსულტაცია, საშვილოსნოს ყელის დათვალიერება, ნაცხის აღება,



კოლპოსკოპია, საშვილოსნოს ექოსკოპიური გამოკვლევა, 101 - 30-40 წლამდე ასაკის ქალს ჩაუტარდა მამოგრაფიული გამოკვლევა. ასევე - 13 პირს ჩაუტარდა მკერდის, პროსტატის, საშვილოსნოს, საკვერცხეების, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიებით დაავადებულ პირთა გამოკვლევა ონკომარკერებით. 25 დან 30 წლამდე ასაკის 32 - ქალს ჩაუტარდა სარძევე ჯირკვლის ელასტოგრაფია.

➤ მიღწეული შედეგები:

160 ბენეფიციარზე ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით განხორციელდება დიაგნოსტიკა და პრევენცია.

ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 92,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 84,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91,0%.

➤ პროგრამის აღწერა:

2018 წლის განმავლობაში 18 წლის ზემოთ ფსიქიური პრობლემის მქონე 25 პირს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო კურსი. ქვეპროგრამის ფარგლებში თითოეული ბენეფიციარისთვის (ქ. ბათუმში მცხოვრებ 18 წლის ზემოთ ფსიქიური პრობლემების მქონე პირთათვის-25 ბენეფიციარი) ხდება რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შედგენა, პირებს უტარდებათ ერგოთერაპია, არტთერაპია, ფსიქოლოგიური დახმარება, პედაგოგის მომსახურება. ბენეფიციარები ჩართული არიან სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, ხდება საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

მიღწეული შედეგები:

18 წლის ზემოთ ფსიქიური პრობლემის მქონე 25 პირს ჩაუტარდათ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.

მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურეობა (პროგრამული კოდი 06 01 05)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 149,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 142,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,9%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში, 2018 წლის განმავლობაში, სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება გაეწია ომში დაინვალიდებულ პირებს, ომის ვეტერანებს (ასაკით პენსიონერები) და ქ. ბათუმის მერიის უფასო მუნიციპალური სასადილოების 57 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 643 ბენეფიციარს.

➤ მიღწეული შედეგები:



ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის მიწოდებულია სტომატოლოგიური, ორთოდონტიული და ორთოპედიული მომსახურეობა 643 ბენეფიციარზე.

С ჰეპატიტის დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01 06)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 83,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 83,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში, გაიცა 958 ვაუჩერი - С ჰეპატიტის დიაგნოსტიკური კვლევებისა და პაციენტთა მკურნალობის მონიტორინგის მიზნით.

➤ მიღწეული შედეგები:

განხორციელდა С ჰეპატიტის დიაგნოსტიკური კვლევები. და განხორციელებულია პაციენტთა მკურნალობის მონიტორინგი. გაცემულია 958 ვაუჩერი.

შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 07)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 304,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 286,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 94,1%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 486 - შშმ პირების, ომის ინვალიდების, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარებისა და მათი თანმხლები პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების მომსახურეობა ურეკში, წყალტუბოსა და ბორჯომის რაიონში; აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ტრანსპორტირების ხარჯიც.

მიღწეული შედეგები:

ქვეპროგრამის ბენეფიციართათვის ჩატარებულია კლიმატოთერაპიისა და რეაბილიტაციის კურსი

ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 09)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 797,9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 779,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,7%.



➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში, 2018 წლის განმავლობაში ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილებს ჩაუტარდათ სმენის და მუკოვისციდოზის სქრინგული გამოკვლევა. 2-დან 10 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვებს, 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებს, აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე 2 დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებს ჩაუტარდათ რეაბილიტაციის კურსი. ასევე ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს ჩაუტარდათ მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობის კურსი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელდა აუდიოლოგიური სქრინინგი და სქრინინგი მუკოვისციდოზზე. ჩატარებულია 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების, 2-15 წლამდე აუტისტური ქცევის მქონე და სმენის დარღვევების მქონე და 2-10 წლამდე ბავშვთა რეაბილიტაცია. ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს ჩაუტარდათ მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობის კურსი (3638 ბენეფიციარი).

ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 10)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 166,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 130,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 78,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ჰემოდიალიზის ცენტრის 113 პაციენტს გაეწია ყოველთვიური კომპენსაცია 60 ლარის ოდენობით. ასევე ლეიკემიით დაავადებულ 21 ბავშვს გაეწია დახმარება 200 ლარის ოდენობით. 2018 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 134 ბენეფიციარის უზრუნველყოფა მატერიალური დახმარებით.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქვეპროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მატერიალური დახმარებით (134 ბენეფიციარი).

მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 12)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 307,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 292,8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,4%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება და ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება. კერძოდ, ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული



მკურნალობის თანადაფინანსება გაეწია 450 ბენეფიციარს. ღვიძლის ტრანსპლანტაცია ჩატარდა 2 ბენეფიციარს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელდა მკურნალობის თანადაფინანსება. მატერიალური დახმარება გაწეულია ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის.

ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება (პროგრამული კოდი 06 01 13)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 234,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 206,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შპს „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ სუბსიდირება ქ. ბათუმის მოსახლეობისათვის მაღალხარისხიანი უფასო სამედიცინო მომსახურების გაწევის - პირველადი პრეჰოსპიტალური სასწრაფო-სამედიცინო და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით. კაპიტალის ზრდა - ავტომობილების და დეფიბრილატორის შეძენის მიზნით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 221 თანამშრომელი, ამათგან 21 თანამშრომელი დამატებითი ბრიგადიდან.

➤ **მიღწეული შედეგები:**

ქალაქში უზრუნველყოფილია დამატებითი სასწრაფო დახმარების ბრიგადები და გაზრდილია თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება. ფინანსდება 221 თანამშრომელი (მათ შორის 3 დამატებითი ბრიგადის თანამშრომელი).

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 14)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

სქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 51,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 51,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის ხარისხიანი და მაღალკვალიფიციური ბინაზე მომსახურება. მოხდა დაავადების რეციდივებისა და რეჰოსპიტალიზაციის შემცირება. ბენეფიციარებს მიეწოდებათ მედიკამენტები.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მობილური გუნდის მიერ ბენეფიციართა ბინაზე მომსახურება - 50 ბენეფიციარი.

სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 01)



➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 619,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 567,7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში 2018 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1. წყლის, კანალიზაციისა და დასუფთავების მოსაკრებლის გადასახადით უზრუნველყოფილი იქნა 13089-მდე ბენეფიციარი, აქედან: 9458 - 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი პირი, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლები (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა) და მათი შვილები; 1765 - მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვები; 1866 - ვეტერანი, მათთან გათანაბრებული პირი, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები. 2. სატელეფონო-სააბონენტო გადასახადზე შეღავათი მიიღო 722 ბენეფიციარმა, აქედან 218 - მკვეთრად გამოხატულმა შშმ პირმა, მათ შორის შშმ სტატუსის მქონე ბავშვმა და 504 ვეტერანმა, მათთან გათანაბრებულმა პირმა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებმა და მარჩენალდაკარგულებმა. 3. გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაცვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზიფიცირდა 110 ბენეფიციარს, აქედან 15 მკვეთრად გამოხატულ შშმ პირს, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვს, 40 ვეტერანს, მათთან გათანაბრებული პირს, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს და მარჩენალდაკარგულებს; 55 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველ ოჯახს. 4. ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალ დაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება - ღონისძიების ფარგლებში ყოველთვიურად 5 კგ თხევადი აირი შეიძინა 114-მდე ვეტერანმა, მათთან გათანაბრებულმა პირმა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებმა და მარჩენალ დაკარგულებმა.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მოწყვლადი ჯგუფები უზრუნველყოფილნი არიან ძირითადი კომუნალური სერვისებით.

მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 02)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 192,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 175,5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში 2018 წლის მდგომარეობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით, კერძოდ 15 თებერვალს მატერიალური დახმარება გაეწია სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებულ 4 ვეტერანს; 9 მაისი - 35 II მსოფლიო ომის მონაწილეები და II



მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები, 27 სექტემბერი - 60 - საქ. ტერ. მთ. ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და ინვალიდებს გაეწიათ მატერიალური დახმარება. ახალ წელთან დაკავშირებით 116 - სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებული ვეტერანებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრებს და დაინვალიდებული ვეტერანებს; II მსოფლიო ომის მონაწილეებს და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს გაეწიათ მატერიალური დახმარება. 2. ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწია - 96 0-100.000 ქულის მქონე სოც.დაუცველ ოჯახს. 3. ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალებისთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 50 ოჯახს, აქედან 10 გარდაცვლილი ვეტერანის (ომის მონაწილე) და 40 გარდაცვლილი სოციალურად დაუცველი პირის 0-70000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახს. 4. ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება - განხორციელდა ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე 2 სტუდენტზე.

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია მატერიალური დახმარების ღონისძიებები.

მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 660,7 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 644,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,0%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

2018 წლის მონაცემებით ბენეფიციართათვის, რომლებიც სარგებლობენ მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურის 50%-იანი შეღავათით, განხორციელდა 2486400 შეღავათიანი მგზავრობა, საშუალოდ 14 მგზავრობა ერთ ბენეფიციარზე თვეში. ბენეფიციართათვის, რომლებიც სარგებლობენ მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურის 100%-იანი შეღავათით, განხორციელდა 3810240 უფასო მგზავრობა, საშუალოდ 18 მგზავრობა ერთ ბენეფიციარზე თვეში.

➤ **მიღწეული შედეგები:**

საზოგადოების განსაზღვრული კატეგორიებისათვის უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომი მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურება.

მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 866,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 860,9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,4%.



➤ **პროგრამის აღწერა:**

ქვეპროგრამის ფარგლებში, 2018 წლის განმავლობაში მოხუცებულთა თავშესაფარში ყოველდღიურად მომსახურება ეწეოდა 122 მზრუნველობას მოკლებულ პირს, ხოლო ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე 99 პირს.

➤ **მიღწეული შედეგები:**

მზრუნველობა-მოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები.

მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 05)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 32,3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 32,3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,8%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

2018 წელს 1 მრავალშვილიან ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართი.

➤ **მიღწეული შედეგები:**

დაკმაყოფილდა 1 მრავალშვილიანი ოჯახი საცხოვრებელი ფართით.

მუნიციპალური უფასო სასადილო (პროგრამული კოდი 06 02 06)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 3 225,2 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3 139,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97,3%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

არსებული პროგრამა მოიცავს სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფას, რომელიც გათვალისწინებულია 4779 ბენეფიციარზე და აღნიშნული მომსახურების გაწევა განხორციელდა 6 მუნიციპალური სასადილოს საშუალებით. ბენეფიციარებს ყოველდღიურად შესაბამისი მენიუს მიხედვით გადაეცათ ახალი, ცხელი კერძები. სისტემატურად მიმდინარეობდა სასადილოს შენობების დეზინფექცია, დეზინსექცია, დერატიზაცია კანონით დადგენილი ნორმების სრული დაცვით. სასადილოებს ყოველთვიური გრაფიკით მოეწოდებოდა საწმენდი-საპრიალებელი და ჰიგიენური საშუალებები, შესაბამისი ქსოვილის ნივთებით, ოფისისათვის შეძენილ იქნა კომპიუტერული მოწყობილობები და პრინტერები. გატარებული იქნა სხვა ღონისძიებები, 4779 ბენეფიციარს მარიამობის დღესაწაულზე დაურიგდა სასაჩუქრე პაკეტი/ნობათი (ქათამი, ძეხვი). ბენეფიციარების მხრიდან სასადილოს მუშაობა შეფასდა დადებითად, რაც დააფიქსირეს სასადილოს პერსონალთან. დღეის მდგომარეობით მუშაობა მიმდინარეობს დაბრკოლებების გარეშე.

➤ **მიღწეული შედეგები:**

არსებული პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია 4779 ბენეფიციარს.

დროებითი ღამის თავშესაფარი (პროგრამული კოდი 06 02 07)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**



ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 297,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 245,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 82,3%.

➤ პროგრამის აღწერა:

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია საშუალოდ 45-დან 50 ბენეფიციარს თითოეული დღის განმავლობაში. ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ საუზმითა და ვახშამით, ასევე სარგებლობდნენ სუფთა თეთრეულით, ჰიგიენური საშუალებებით და საჭიროების შემთხვევაში კვალიფიციური მედდის სამედიცინო დახმარებით, შესაბამისი პირველადი ფარმაცევტული პროდუქტებითა და სამედიცინო მოწყობილობებით. შენობას ყოველთვიურად უტარდებოდა დეზინფექცია, დეზინსექცია და დერატიზაცია. თავშესაფარს ბენეფიციართათვის მიეწოდებოდა საწმენდი-საპრიალებელი და ჰიგიენური საშუალებები შესაბამისი ქსოვილის ნივთებთან ერთად, განხორციელდა თავშესაფარში მყოფი ბენეფიციარის ტრამვატოროგიულ განყოფილებაში გადაუდებელი სტაციონალური მკურნალობის, საავადმყოფოს მომსახურების შესყიდვა, თავშესაფარში მცხოვრები ბენეფიციარები გამოხატავენ კმაყოფილებას. დაბრკოლება გამოიხატება იმაში, რომ შენობის მდგომარეობის გამო შეუძლებელია დავიცვათ სანიტარული ჰიგიენის ნორმები დადგენილების შესაბამისად.

➤ მიღწეული შედეგები:

დროებითი ღამის თავშესაფარი ფუნქციონირებს შეუფერხებლად.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 02 08)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 10,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 10,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95,3%.

➤ პროგრამის აღწერა:

2018 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება "ომგადახდილის", ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციას, ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრს გაეწიათ სუბსიდირება სხვადასხვა ღონისძიებებისათვის (საკანცელარიო, ოფისის, კომუნალური, სამივლინებო და სხვა ხარჯების (საოფისე და საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა) დასაფარად.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის, უსინათლოთა და ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ფინანსური მხარდაჭერა.

ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 09)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:



დაზუსტებული გეგმა - 1 298,6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 293,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,6%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

აღნიშნულ პროგრამაში კლასიფიცირდებოდა სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეებზე გამოყოფილი ერთჯერადი მატერიალური დახმარებები.

მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა (პროგრამული კოდი 06 02 10)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 1 594,1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1 382,1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 86,7%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

2018 წლის განმავლობაში ყოველთვიური მატერიალური დახმარება გაეწია 258 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3 შვილიან ოჯახს, 74 - 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 4 შვილიან ოჯახს, 41 - 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 5 და მეტი შვილიან ოჯახს, 96 - 5 და მეტი შვილიან ოჯახს 27 უდემამო ბავშვს 270 მარტოხელა მშობლებს (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა), სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველ ერთ წლამდე ასაკის 99 ბავშვზე. სოციალურად დაუცველი ოჯახების რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57.001-ს პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, ტექნიკის, სოციალური დანიშნულების საქონლისა (საშეშე მერქანი) და სარემონტო მასალების შეძენა, საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის რემონტი ღონისძიების ფარგლებში წინასწარ შემუშავებული მოკვლევის ბარათების საფუძველზე, კრიტერიუმების შესაბამისად ადმინისტრაციული ერთეულების მიერ მოკვლეული იქნა 0-30000-მდე ქულის მქონე 3,4,5 და მეტშვილიანი ოჯახები, 0-57000-მდე შშმ პირები და 1000 ქულის მქონე.

➤ **მიღწეული შედეგები:** მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის გაუმჯობესებულია სოციალური პირობები და შექმნილია მინიმალური საცხოვრებელი პირობები.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 11)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 12,8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 11,6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 90,4%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

2018 წელს შემოვიდა 63 განცხადება, აქედან კრიტერიუმის შესაბამისად შეირჩა 32 შშმ პირი (ტოტალური უსინათლო), რომლებსაც პროგრამის ფარგლებში გაეწიათ ასისტენტის მომსახურება კვირაში 2 საათის ოდენობით.



მიღწეული შედეგები: უზრუნველყოფილია 32 შპს პირის (ტოტალური უსინათლო) ასისტენტის მომსახურეობა.

დასაქმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 12)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 10,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 2,2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 22,0%. ქვეპროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი გამოიწვია ბენეფიციართა დაბალმა ჩართულობამ, რის გამოც სრულად ვერ იქნა ათვისებული ღონისძიებით გათვალისწინებული ასიგნება.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ფორუმი დამსაქმებლებთან. შეიქმნა საიტი jobs.batumi.ge. მოხდა საზოგადოების ინფორმირება. საიტზე დარეგისტრირდნენ პოტენციური დამსაქმებლები, მოიძებნა ვაკანსიები და დასაქმდა 14 ბენეფიციარი.

სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა (პროგრამული კოდი 06 03)

ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი (პროგრამული კოდი 06 03 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 91,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 91,4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100,0%.

➤ პროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა: ჩამონაბანის აღება (5845), კალორაჟი განისაზღვრა ბაღებსა და უფასო მუნიციპალურ სასადილოებში (280), განათების კოეფიციენტი განისაზღვრა სკოლებში (150), აუზის წყლის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური კვლევა ჩატარდა (16), სტომატოლოგიური კაბინეტებისა და სილამაზის სალონების ლაბორატორიული მონიტორინგი სტერილობაზე განხორციელდა (200 ერთეული), სადენზიფექციო საშუალებების ქიმიური კვლევა ჩატარდა (35), კვების პროდუქტების მონიტორინგი განხორციელდა მუნიციპალურ სასადილოებში (96)

➤ მიღწეული შედეგები: მაწანწალა ცხოველების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები ჩატარებულია.

დეზინსექცია დერატიზაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 03 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:



დაზუსტებული გეგმა - 369,5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 362,8 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 98,2%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

დეზინსექცია დერატიზაციის ღონისძიებები ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 1. მრავალსართულიანი (3 სართული და მეტი) სახლებისა და სადარბაზოების დეზინსექცია თვეში ორჯერ, მაისი-ოქტომბერი (სულ 8760) 2. ნაგავმომკრები კონტეინერების დეზინსექცია (10000ც.) 3. ქალაქის ტერიტორიის დეზინსექცია თვეში ორჯერ მაისი-ოქტომბერი (სულ-72 ჰა) 4. ქალაქის ტერიტორიის დერატიზაცია ყოველთვიურად (სულ-12960) 5. ერთი და ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების დეზინსექცია თვეში ერთჯერ მაისი-ოქტომბერი (სულ-1200) 6.ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება, წერტილოვანი ან ხაზობრივი დასახურების მეთოდით, პრეპარატის შესხურებას დასაცავი ტერიტორიის, შენობა - ნაგებობების და სათავსოების გარშემო სულ- 49960 კვ.მ (მომართვიანობის საფუძველზე), 7.ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება, წერტილოვანი ან ხაზობრივი დასახურების მეთოდით, შენობა-ნაგებობებში და მათ სარდაფებში, სხვენებზე, საწყობებში, სხვა სამეურნეო და დამხმარე დანიშნულების ნაგებობებში სულ - 13415 კვ.მ (მომართვიანობის საფუძველზე) 8.ქვეწარმავლობის დაჭერა, ტრანსპორტირება და დაუსახლებელ ტერიტორიაზე გაშვება სულ- 5

➤ **მიღწეული შედეგები:**

განხორციელებულია დერატიზაცია-დეზინსექციის ღონისძიებები.

მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 03 03)

➤ **პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

➤ **პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:**

დაზუსტებული გეგმა - 250,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 250,0 ათასი ლარი;
შესრულების პროცენტი - 100%.

➤ **პროგრამის აღწერა:**

მაწანწალა ცხოველების (ძაღლების, კატების) პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა: 2600 ცხოველის დაჭერა და ტრანსპორტირება, ევთანაზია (ჰუმანური დამინება ნარკოზით), სტერილიზაცია, კასტრაცია, კვება, ვაქცინაცია და დაბირკვა, ასევე განხორციელდა ბუნებრივ არიალში გაშვებული დაბირკული გასტერილებული ცხოველების ეტაპობრივი გამოყვანა ქალაქის ტერიტორიიდან და ტრანსპორტირება ვეტერინალურ კლინიკაში რევაქცინაციასთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარების მიზნით „ქალაქის ტერიტორიაზე არსებულიცხოველების ლემის (სხვადასხვა მიზეზითგამოწვეული სიკვდილით) დროულიგამოყვანა სპეციალური ტრანსპორტით დაბეიკერის“ ორმოში დამარხვა მოზარდი ცხოველების (ლეკვი კნუტი) დაჭერა ქალაქის ტერიტორიაზე და ტრანსპორტირება თავშესაფარში(ვეტერინალური კლინიკა) მოვლა პატრონობის მიზნით-1375

➤ **მიღწეული შედეგები:**



მაწანწალა ცხოველების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები ჩატარებულია.

პრიორიტეტი: ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება

ქალაქის დაგეგმარება (პროგრამული კოდი 07 01)

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 07 01 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 265,4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 184,0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 69,3%; შემსყიდველი ორგანიზაცია სამუშაოების შესრულებამდე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით შესასრულებელი სამუშაოების ხარისხის უზრუნველსაყოფად ახორციელებს პროექტის ღირებულების ანაზღაურებისას თანხების დაკავებას, რაც განაპირობებს ქვეპროგრამის შესრულების/დაფინანსების დაბალი მაჩვენებელს.

➤ პროგრამის აღწერა:

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 39 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

მიწისქვეშა კომუნიკაციების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 26 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 40 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

პარკების, მოედნების, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 21 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - შედგენილია 91 ერთეული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

➤ მიღწეული შედეგები:

განხორციელებულია ქალაქის ქუჩების, გზებისა და ტროტუარების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 07 01 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

